



„ვარლახის რევოლუცია“ — ხალხის ისტორიული მახსიარების მონაპოვარი

33.4



ვარლახ ჩარქაზიშვილი — ილიას გამართლებული რისკიანი პროექტი

33.5



ინსტიტუციონალიზაცია უმტკივნეულოდ

33.3

გიორგი თევზაშვილი:
სტუდენტებმა იცინა, რომ კარგ კადრზე მოთხოვნა ლუბა ყოველთვის არის. აქედან გამომდინარე, მიღწევაში სტუდენტების მხრიდან შეცვლილია. ისინი უფრო პრაგმატულნი და მოტივირებულნი არიან, რაც ლექციებზე დასწრებასაც ეხმარება. მაგალითად, არჩევით საგნებში (ცხადველოლოგიაში) მათთვის სპეციალური საგნები, 100-მდე სტუდენტი მყავს ჩანარში და აუდიტორია თითქმის ყოველთვის სავსეა. გარდა ამისა, თვალისადასწრე სტუდენტების მონაწილეობა, რაღაცნაირად აქვს მოტივირებული სახელმძღვანელოები, სილაბუსები, საჭირო საკანონმდებლო აქტები და ცვლილებები, რომ ლექტორს ლექციის მსვლელობის დროს მხარი აუბან. ასე რომ, მოტივაცია ბევრად მაზრადილია.

33.7

სიმსივნური უჯრედების დროული გამოვლენის მეთოდი



რადიაციული ტექნოლოგიები-99-ის გამოყენებით სიმსივნის დიაგნოსტიკა საშუალოდ უკმაყოფილო მდგომარეობაში კარგად აკრძალული მეთოდია. ეს მეთოდი საქართველოშიც დანერგულია, თუმცა საჭირო აპარატურისა და კომპიუტერიზაციის ნაკლებობის გამო. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელემენტარული ანალიზის განყოფილების დირექტორი ილია ჩარქაზიშვილი ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით „ტექნოლოგიები-99-ის საფუძველზე შემდგომი რადიო-ფარმაცეპტივების წარმოების და დისტრიბუციის ორგანიზებასა და საქართველოში“ სულ მალე უზრუნველყოფს ტექნოლოგიების მიღებას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელემენტარული ანალიზის განყოფილების დირექტორი ილია ჩარქაზიშვილი კვლევების (ყოფილი ბირთვული რეაქტორი) ტექნოლოგიის, რაც ექიმებსაც და პაციენტებსაც საშუალებას მისცემს, გაცილებით ხელმისაწვდომ ფასად უკმაყოფილო მდგომარეობაში და დაავადების სანჯის ეტაპზე გამოავლინონ სიმსივნური უჯრედები ადამიანის ორგანიზმში.

მა-3 გვერდზე

შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღე თსუ-ში

1 დეკემბერს, მსოფლიო შიდსთან ბრძოლის დღეს, საზოგადოებრივი მოძრაობა „ბემონის“ ექსპერტები თსუ-ის სტუდენტებს შეხვდებიან, სადაც აივ/შიდსის ინფექციასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული მდგომარეობისა და აივ/შიდსით დაავადებულთა უფლებების დაცვის შესახებ იმსჯელებენ. ღონისძიებაში მონაწილეობას, ძირითადად, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ურნალისტიკის მიმართულების სტუდენტები მიიღებენ.

ზულ პრობლემას, გამოვლენის მხარდაჭერა აივ/შიდსით დაავადებულთა მიმართ და წვლილი შეიტანონ აივ/შიდსთან ასოცირებული სტიგმისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრაში. ვფიქრობ, სტუდენტები მომავალში უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოექცებიან ამ სერიოზულ პრობლემას, — განაცხადა საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ აივ/შიდსისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ექსპერტ-ცენტრის დირექტორმა და ვით ყაზაიშვილმა.

ლონისძიება 1 დეკემბერს 15.00 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსში იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში (II სართული) გაიმართება.

ნატო მგოლაძე



ბიბლიოთეკის უთამბაჯდანი ნიგნადი ფონდით სტუდენტები კვლავილნი არიან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთერთი მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს ეკონომიკისა და გეოგრაფიის ფაკულტეტს. მგვიდი და მჭიდროდ ატმოსფერო, უახლესი ტექნიკური აღჭურვილობა, საერთაშორისო სტანდარტების სასწავლო და დამხმარე ლიტერატურა ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე, უნიკალური გამოცემები და მდიდარი ნიგნადი ფონდი სტუდენტებს სწავლის საუკეთესო პირობებს უზრუნველყოფს.

მა-11 გვერდზე

ახალი გარემო თსუ-ში გადამოსული სტუდენტებისთვის

33.2

დარგის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა

33.6

დროვანი უჯრედები — გადატრიალება მედიცინაში?

33.7

„დაამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო“ ერთ კრებულში

33.11

სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორთა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოსცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, 35-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 44-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის №91 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 30 მაისის №13 სხდომის გადაწყვეტილების, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2011 წლის 15 ივნისის №107/02-01 ბრძანების, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის 2011 წლის 11 ნოემბრის №30862/02 წარდგინების საფუძველზე

პ რ ა ვ ა ნ ე ბ ა :

- 1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორთა ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად;
2. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტი;
3. კონკურსი გამოცხადდეს 2011 წლის 14 ნოემბერს, დოკუმენტაციის წარმოდგენის

ვადა განისაზღვროს 2011 წლის 15 დეკემბრიდან 2011 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით, კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არაუგვიანეს 2 თვის ვადაში;

4. კონკურსი გამოცხადდეს იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორთა ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგი მიმართულებებით:

- სამართლის ისტორია ასისტენტ-პროფესორი — 5 სამტატო ერთეული;

სამართლის მეთოდები ასისტენტ-პროფესორი — 3 სამტატო ერთეული;

კონსტიტუციური სამართალი ასისტენტ-პროფესორი — 4 სამტატო ერთეული;

ადმინისტრაციული სამართალი ასისტენტ-პროფესორი — 3 სამტატო ერთეული;

კერძო სამართალი ასისტენტ-პროფესორი — 14 სამტატო ერთეული;

საერთაშორისო სამართალი ასისტენტ-პროფესორი — 4 სამტატო ერთეული;

სისხლის სამართალი ასისტენტ-პროფესორი — 10 სამტატო ერთეული;

5. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება თვეში, არანაკლებ 675 (ექვსას სამოცდათხუთმეტი) ლარით.

6. ასისტენტ-პროფესორის თანამდებ-

ობაზე ასარჩევო კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

- ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) ავტობიოგრაფია (cv);
დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტები) ასლი ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ე) სამოტივაციო წერილი;
7. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2011 წლის 15 დეკემბრიდან 2011 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე, თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. №3 (მე-2 კორპუსი) პირველი სართული, ოთახი №117 (იურიდიული ფაკულტეტის კანცელარია);
8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“ და ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრს;
9. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა.

რექტორი ალექსანდრე კვიციანი

მოკლედ

ბრაზილიის ელჩი სტუმრად თსუ-ში



15 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია ბრაზილიის ელჩი კარლოს ალბერტო ასფორა, რომელიც თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდა და ბრაზილიის ისტორიისა და კულტურის შესახებ ლექცია წაიკითხა.

ელჩმა სტუდენტებს ბრაზილიის ეკონომიკური განვითარების ისტორიის თავისებურებანიც გაცნო და აღნიშნა, რომ ბრაზილიის მთავრობის ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც ცნობილია, როგორც განვითარების „ბრაზილიური მოდელი“, მნიშვნელოვნად დააჩქარა ეროვნული ეკონომიკური პროტენციის შემდგომი წინსვლა. სწორედ ამან განაპირობა, რომ ბრაზილია, ეროვნული შემოსავლით, პირველი ქვეყანაა ლათინურ ამერიკაში და მთელი რიგი ეკონომიკური მაჩვენებლებით მსოფლიოს უმსხვილეს სახელმწიფოთა ათეულში შედის, ხოლო საერთო სამრეწველო პროტენცილით — მსოფლიოს 15 დიდ სახელმწიფოს შორის მოიაზრება.

ელჩი საქართველოში გატარებულ რეფორმებსაც შეეხო და აღნიშნა: „მე თვალყურს ვადევნებ საქართველოში წარმატებით განხორციელებულ რეფორმებს და მჯერა, რომ თქვენი ქვეყანა ღირსეულ ადგილს დაიკავებს ევროპულ სივრცეში“, — განაცხადა ბრაზილიის ელჩმა კარლოს ალბერტო ასფორამ.

„ბრაზილიის სახელმწიფო პოლიტიკის ერთერთ პრიორიტეტს წარმოადგენს საგანმანათლებლო სისტემისა და მეცნიერების განვითარება, რაც ქვეყნის პროგრესისა და აღმავლობის გარანტია“, — აღნიშნა ელჩმა. სტუდენტებთან შეხვედრაზე ელჩმა ისაუბრა გაცვლით სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მნიშვნელობასა და ეფექტურობაზე. მან აქტიური თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა ბრაზილიის უნივერსიტეტებსა და თსუ-ის შორის.

შეხვედრის ბოლოს, ბრაზილიის ელჩმა მადლობა გადაუხადა თსუ-ის ადმინისტრაციას გულთბილი მიღებისათვის და იმედი გამოთქვა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის განათლებისა და მეცნიერების სფეროში აქტიური თანამშრომლობა გაგრძელდება.

თამარ ლალიანი

ახალი გარემო თსუ-ში გადმოსული სტუდენტებისთვის

მობილობის წესით თსუ-ში სასწავლებლად გადმოსვლაზე პრეტენზიას სხვა უმაღლესი სასწავლებლების ბევრი სტუდენტი აცხადებს და მსურველიც სულ უფრო მეტია. მათ, ვისაც გაუმართლა და თსუ-ში მოხვდა, სურთ თავი-ანთი შთაბეჭდილებები გაგვიზიარონ იმ უნივერსიტეტზე, რომელიც აირჩიეს. ჩვენი რესპონდენტები ამჯერად ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები არიან, რომელთაც უკვე აქაური ქუდი დაიხურეს და ამ ქოლგის ქვეშ სტუდენტური ცხოვრებითა და სწავლის ხარისხით კმაყოფილნი არიან.

ნიმე ნარიშანიკა:

— მინდა, გავამახვილო ყურადღება იმ შთაბეჭდილებებსა და ემოციებზე, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოსვლის შემდგომ დამეუფლა. თითოეული ჩვენი ლექტორი გამოირჩევა საგნისა და სტუდენტებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით. მათგან მინდა, მადლობა გადავუხადო ქალბატონ ჟანა თოლორდავას, რომელიც შთაგვაგონებს, რომ ქართველი ცნობადი უნდა გახდეს კულტურით, ცოდნითა და ინტელექტით. მის ლექცია-სემინარებზე ყველა სტუდენტი აქტიურად არის ჩართული. ჩვენი დაინტერესება ხდება ინტერაქტიული მეთოდებით, როგორცაა შეჯობის ტიპის სემინარი, დუბლი-ლექცია, საქმიანი თამაშები, სადაც სხვადასხვა როლები გვაკისრია: კერძოდ, ვართ ლიდერები, მომხსენებლები, ოპონენტები, თანამომხსენებლები. ჩვენ დიდი ინტერესით ველით მის ყოველ

სემინარს და მკაფიოდ ვამჩნევთ თითოეული ჩვენგანის ინტელექტუალურ ზრდას და მიგვაჩნია, რომ რაც დღეს თამაშია, ხვალ შეიძლება ნამდვილ საქმიანობად იქცეს. სამწუხაროდ, ბიზნესისა და ეკონომიკის სფეროში პრაქტიკულ სწავლებას ვერ გავდივართ, ხოლო საქმიანი თამაშები და იმიტაციები გვეხმარა თეორიული ცოდნის პრაქტიკულად განმტკიცებაში.

ნანა საყვარელიკა:

— თავიდანვე დიდი სურვილი მქონდა მესწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პირველი კურსის დახურვის შემდეგ მობილობით შევძელი გადმოსვლა თსუ-ში. არასოდეს დამავინყებდა ჩემი პირველი შთაბეჭდილებები და ემოციები. აქ სრულიად სხვა გარემო დამხვდა. თითოეული ლექტორი გამიორჩევა თავისი საგნისა და სტუდენტებისადმი კარგი დამოკიდებულებით. ზოგი

მათგანი კი ნამდვილად მისაბაძია ჩემთვის, კერძოდ, ჟანა თოლორდავა, მედეა ლორთქიფანიძე, ნინო ჩაველიშვილი.

ქალბატონი მედეა ლორთქიფანიძე ინგლისურის ცოდნასთან ერთად ზოგად განათლებასაც გვაძლევს, გვეხმარება სწორ და საღად აზროვნებაში. სემინარებზე ვაკეთებთ პრეზენტაციებს, განვიხილავთ თითოეული სტუდენტის ნამუშევარს და შემდგომ ვავლენთ გამარჯვებულს. ასევე, ძალიან კმაყოფილები ვართ დეკანატით, რადგან მათი დამსახურებით შემეძვნა უპრობლემო და კომფორტული გარემო.

ნათია ტაბატაძა

— თსუ-ში სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გადმოვედი. მინდა, უაღრესად დიდი პატივისცემა გამოვხატო ჩემი ლექტორების — ქალბატონ ეკა მალაქაელიძისა და რატი აბულაძის მიმართ. ქალბატონი ეკა ლექციები, რომლებიც უამრავ დამატებით ინფორმაციას შეიცავს, გვიღმრავებს ცოდნას, ხოლო ბატონი რატის სემინარებზე განვიხილავთ ქეისებს, რაც საკითხის სიღრმისეულად ჩანვდომაში გვეხმარება. უნივერსიტეტში დანერგულია სწავლების ახალი მეთოდები, გვყავს მაღალკვალიფიციური ლექტორები, ასე რომ, კმაყოფილი ვარ ჩემი გადამწყვეტილებით.



სიმსივნური უჯრედების დროული გამოვლენის მეთოდი

პირველი გვერდიდან

ტექნეციუმ-99 რადიოაქტიური ნივთიერებაა. ის მიიღება რადიოაქტიური მოლიბდენის დაშლის შედეგად. სამედიცინო კლინიკებს მოლიბდენი-99-ის ბაზაზე მომუშავე ტექნეციუმის სანარმოო მიკროგენერატორები საქართველოში სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის ჰოლანდიიდან შემოაქვთ, მაგრამ მისი შემოტანის, საჭირო აპარატურის შესყიდვისა და განაწილების ხარჯები იმდენად დიდია, რომ პაციენტის მიერ გადახდილი თანხის უმეტესი ნაწილი ამ ხარჯების დაფარვას სჭირდება.

2011 წლის მაისში პროგრამა CNCP-ის (Closed Nuclear Centers Programme — ბრიტანული პროგრამა — დახმარება დახურულ რადიაციულ ცენტრებს) დაკვეთით, თსუ-ის ელფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ერთ ჯგუფს, რომლის შემადგენლობაშიც არიან გამოყენებითი კვლევების ცენტრის რადიაციული ნარჩენების შესანახის უფროსი — მიხეილ ასათიანი, იჟინური ალექსანდრე ხუნდაძე და ქიმიკოსი თინათინ ზედგინიძე, დაევალა სამეცნიერო პროექტის დანერგვა, რომელიც საქართველოში ტექნეციუმის მიღების შესაძლებლობებს დაადასტურებდა. პროექტი დამტკიცდა, როგორც უკრაინული ანალოგის გაფართოება. მისი საერთო ღირებულება 89 134 ფუნტია. აქედან 66 434 ფუნტი დახმარების თანხაა, რაც მოხმარდება უკრაინიდან აპარატურის შემოტანა-დამონტაჟებას, გაშვებას და მოლიბდენის შექმნას, ხოლო დანარჩენი 22 700 ფუნტად კი შეფასდა ის სამუშაოები, რომელიც უნივერსიტეტმა თავისი ხარჯებით უნდა გასწავლოს ცხელი კამერის და მიმდებარე ფართების სათანადო დონეზე გასარემონტებლად.

პროექტი უკვე მზადაა და მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ, დაახლოებით, თებერვლის ბოლოსთვის პირველ პროდუქციასაც გამოუშვებენ.

საქართველოში ტექნეციუმის წარმოების აუცილებლობა, შემოტანილი ტექნეციუმის გენერატორების სიძვირესთან ერთად, იმანაც განაპირობა, რომ მათი გამოყენების ვადა ხანმოკლეა (12-14 დღე), რაც გამოწვეულია იმით, რომ რადიოაქტიური მოლიბდენი-99-ის ნახევარდაშლის პერიოდი 66 საათია. გენერატორების ასე ხშირი შემოტანა (თვეში ორჯერ) კლინიკებისათვის დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან. ტრანსპორტირების, განაწილების, გამოყენებული რადიაციული მასალის და რადიაციულად

დაბინძურებული სხვადასხვა ხელსაწყოების უტილიზირების პრობლემები საკმაო სირთულეებს უქმნის მომხმარებელ საავადმყოფოებს. ამიტომაც ბევრი კლინიკა იძულებულია, უარი თქვას კვლევის ამ აუცილებელი მეთოდის გამოყენებაზე. გამოყენებითი კვლევების ცენტრში კი, სადაც ყველა პრობლემა რადიაციულ მასალებთან სამუშაოდ, ტექნეციუმ-99-ის მიღების სტაციონარული დანადგარის დამონტაჟება თბილისის მასშტაბით ბევრად გააადვილებს აღნიშნული პრობლემების გადაჭრას. პაციენტს კი, რომლის სიცოცხლეც შესაძლოა ზუსტად და დროულად დასმულმა ანალიზმა გადაარჩინოს, საშუალება ექნება ნებისმიერ დროს და მისაღებ ფასად ჩაიტაროს ძვლის სკანირება.

სამეცნიერო პროექტი პირველ ეტაპზე ითვალისწინებს ტექნეციუმის ადგილზე მიღებას. ამისთვის საჭიროა სპეციალური აპარატურა, რის შემდეგაც ადგილზე მიიღებენ ტექნეციუმს, ის განზავდება სპეციალურ ნივთიერებებში, მოთავსდება სპეციალურ შპრიცებში და მიეწოდება დამკვეთს სამედიცინო კლინიკებს თბილისსა და მის შემოგარენში.

თუმცა არის კიდევ ერთი უხერხულობა, რომელიც დაკავშირებულია რადიაციული ტექნეციუმ-99-ის ნახევარდაშლის ხანმოკლე პერიოდთან, რომელიც სულ 6 საათია. უშუალოდ ტექნეციუმის ტრანსპორტირებას სხვა ქვეყნიდან აზრი არ აქვს, რადგან დროის სიმცირის გამო მისი შორ მანძილზე გატანა ვერ მოხერხდება. ამიტომაც პროექტი ითვალისწინებს მეორე ეტაპსაც — მიკროგენერატორების ცენტრალიზებულ შემოტანას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს არა მარტო მოვემსახუროთ თბილისიდან შორს მდებარე რაიონებს, არამედ კლინიკები გავათავისუფლოთ ბევრი სირთულისაგან.

„რადგანაც გვექნება რადიაციულ მასალებთან მუშაობის და მათი ტრანსპორტირების ლიცენზია, ჩვენ შეგვეძლება დედაქალაქიდან დაშორებულ კლინიკებს მივანდოთ ტექნეციუმ-99-ის მიკროგენერატორები და დავეხმაროთ მათ რადიოაქტიური ნარჩენების განადგურებაში, თუმცა ეს მხოლოდ მეორე ეტაპია, პირველ ეტაპზე ჩვენ მაინც პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარებით ვართ დაკავებული“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში პროექტის ხელმძღვანელმა მიხეილ ასათიანმა.

იმის დათვლა, თუ რამდენად ეკონომიურია ტექნეციუმის სტაციონარულ დანადგარზე საქართველოში მიღება, ძნელი არ არის. ტექნეციუმის საქართველოში წარმოების შემდეგ მისი თვითღირებულება 2-2,5-ჯერ

ნაკლები იქნება, რაც პაციენტებს მნიშვნელოვან შეღავათს მისცემს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ სტაციონარული წესით მიღებული პრეპარატები გაცილებით ნაკლებ მინარევებს შეიცავენ.

პროექტი წარმატებული იქნება კომერციული ბაზისის თვალსაზრისითაც. როგორც ბატონმა მიხეილ ასათიანმა ბრძანა, ტექნეციუმის საქართველოში წარმოებით რამდენიმე კლინიკაა დაინტერესებული, მათ შორის არის კლინიკური მედიცინის ცენტრი (ფრიდონ თოდუას კლინიკა), ნეიროქირურგიის ცენტრი (გოჩა ინგოროყვას კლინიკა), რესპუბლიკური საავადმყოფო და ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, რომელიც ამ ნივთიერების გამოყენებას მხოლოდ გამაკამერის შექმნის შემდეგ შეძლებს.

დღეის მონაცემებით საქართველოში გამოვლენილია დაახლოებით 30 ათასი სიმსივნური ავადმყოფი. თითოეული მათგანი წელიწადში, საშუალოდ, ორჯერ მაინც საჭიროებს გამოკვლევებს. ამ მაჩვენებელს, სამწუხაროდ, ყოველწლიურად, დაახლოებით 7 ათასი ადამიანი ემატება. „როგორც იცით, ადრეულ სტადიაზე გამოვლენის შემდეგ ეს დაავადება ექვემდებარება განკურნებას, ამიტომ დროული დიაგნოსტიკა აუცილებელია. ტექნეციუმის ადამიანის ორგანიზმში შეყვანის შემდეგ სკანირება იძლევა ზუსტ სურათს — სად არის დაზიანებული უჯრედები“, — განაცხადა ბატონმა მიხეილ ასათიანმა.

პროექტის დასრულებამდე ორი თვეა დარჩენილი. მისი დასრულება დამოკიდებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აქტიუობაზე — თუ რამდენად სწრაფად მოხდება მცხეთის გამოყენებითი კვლევების ცენტრის ბაზაზე არსებული ცხელი კამერების გარემონტება, სადაც ტექნეციუმის მიღება უნდა მოხდეს. ამის შემდეგ უკრაინული მხარე დაამონტაჟებს აპარატურას და ადგილობრივი მაღალკვალიფიციური კადრი ტექნეციუმის მიღებაზე დაიწყებს მუშაობას.

პროექტის წარმატების შემთხვევაში, სამომავლოდ, შესაძლებელია არა მარტო სხვა რადიოფარმპრეპარატების გამოშვება, არამედ გამოყენებითი კვლევების ცენტრის ბირთვული მედიცინის ცენტრად გარდაქმნა, რასაც ხელს უწყობს არა მარტო ინფრასტრუქტურა, არამედ კვალიფიციური თანამშრომლების მძლავრი ბირთვი.

პროექტი — „ტექნეციუმ-99-ის“ საფუძველზე შექმნილი რადიოფარმპრეპარატების წარმოების და დისტრიბუციის ორგანიზება საქართველოში“ კარგი მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ უნდა ჩაერთონ მეცნიერები კომერციული ბაზისის პროექტებში და



რა მოგების მოტანა შეუძლია სამეცნიერო პროექტებს ინსტიტუტებისა და სასწავლო დაწესებულებებისთვის. ამ შემთხვევაში კი ტექნეციუმის მიღება მარტო სამეცნიერო პროცესი არ არის. მან შესაძლოა ბევრ ადამიანს სიცოცხლე გაუხანგრძლივოს, ამაში კი ქართველ მეცნიერთა დიდი წვლილი იქნება.

მომზადდა მაია ტორაძე

თვითღირებულების

ინტეგრაცია უმტკივნეულოდ

იმ სამეცნიერო ინსტიტუტებს შორის, რომლებიც გასულ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემოუერთდნენ, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტიცაა. ინსტიტუტის, მდიდარ ისტორიულ წარსულთან ერთად, აქვს პოტენციალი — გახდეს ერთერთი წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომელიც სტუდენტთა მაღალკვალიფიციურ კადრებად ჩამოყალიბებაში თავის წვლილს შეიტანს.

მაია ტორაძე

ისტორიისთვის

ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი 1933 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის კათედრების ბაზაზე დაარსდა. ამ საქმის სულისჩამდგმელი და ინიციატორი იყო საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერებისა და სკოლის ფუძემდებელი ალექსანდრე ჯავახიშვილი.

1946 წლიდან 2006 წლამდე ინსტიტუტი შედიოდა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შემადგენლობაში, ხოლო 2006 წლიდან იგი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში ფუნქციონირებდა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2011 წელს დაიწყო სამეცნიერო ინსტიტუტების უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან ინტეგრაციის პროცესი, რასაც ობიექტური წინაპირობა ჰქონდა — ამგვარი გამოცდილება უკვე არსებობს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში და მიღებულია, რომ სასწავლო პროცესში ჩართული უნდა იყოს როგორც სასწავლო პროგრამები, ასევე, სამეცნიერო ინსტიტუტები და ლაბორატორიები, რათა სტუდენტმა თეორიულად მიღებული ცოდნა სრულყოს.

ვახუშტი ბაგრატიონის სამეცნიერო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, თსუ-ის პროფესორის რამინ გობეჯიშვილის თქმით, ინტეგრაციის პროცესი ინსტიტუტისთვის მტკივნეული არ ყოფილა, რადგანაც იგი უნივერსიტეტის წიაღიდან გამოვიდა და ისევე მას დაუბრუნდა. „ეს ჩვეულებრივი პროცესია — ახალი ქვეყანაა, ახალი სისტემა და ცხადია, ჩვენც იმ სიახლეებს უნდა ავყვეთ, რომელიც სამეცნიერო და სასწავლო პროცესს უფრო დახვეწილს და მოქნილს გახდის. მით უფრო, რომ ჩვენც ვფიქრობთ — უნივერსიტეტთან ერთად უფრო მეტად შევძლებთ ახალგაზრდობის მოზიდვას და სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაბმას“, — განაცხადა მან.

სამეცნიერო ინტეგრაცია

ათეულობით წლის განმავლობაში ინსტიტუტში ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობა მიმდინარეობდა: შედგა და გამოიცა საქართველოს სსრ ატლასი (1964), საქართველოს სასწავლო-გეოგრაფიული ატლასი (1992), ვახუშტი ბაგრატიონის ატლასი (1997), მრავალი მეცნიერული ნაშრომი, მონოგრაფია, აგრეთვე თემატური რუკები საშუალო და უმაღლესი



სკოლებისთვის, სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა და სხვ.

გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობა პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით მიმდინარეობს. მათ შორისაა:

1) საქართველოს რელიეფის პლასტიკა და დინამიკა, რომლის მიხედვითაც ეგზოკლიმატიკური პროცესების კვლევა იძლევა სტიქიური პროცესების განმეორებადობის დადაგენისა და პროგნოზირების საშუალებას, რათა თავიდან ავიცილოთ მოსახლეობისა და სოფლის მეურნეობისთვის საშიში ზემოქმედებები.

2) საქართველოს თოვლ-მყინვარების მონიტორინგი კლიმატის გლობალური დათბობის ფონზე — ამ მიმართულებით ინსტიტუტის თანამშრომლები აწარმოებენ საქართველოს მყინვარების მასის ბალანსის მონიტორინგს. XIX საუკუნის დასაწყისში მყინვარების წინ ნაშთი დამთავრდა და მათი ნელი ტემპით უკან დახევა დაიწყო, რაც XX საუკუნის მეორე ნახევარში გაძლიერდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს პროცესი XXI საუკუნეში კიდევ უფრო გაიზრდება და სასმელი წყლის პრობლემა დადგება. ამიტომ, საქართველოს მყინვარების მასის ბალანსის მონიტორინგს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს სამუშაოები მიმდინარეობს მყინვარებზე: ზოფიტოზე (რაჭა) და ჭალაათზე (სვანეთი), სადაც ტარდება გამოკვლევა — კლიმატური პროცესების კავშირი მყინვარის რეჟიმთან და მყინვარულ ჩამონადენთან.

3) კარსტულ-სპელეოლოგიური გამოკვლევები საქართველოში — ეს მიმართულება გულისხმობს მღვიმური სისტემების კეთილმოწყობის, მათი უსაფრთხო ტურისტული და სპელეოთერაპიული ექსპლუატაციის წინაპირობების გამოვლენას, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება ქვეყნის ეკონომიკური და ტურისტული მოძრაობის განვითარებისათვის.

4) საქართველოს თანამედროვე და ისტორიული კლიმატების ცვლილების დინამიკა — მეცნიერების ეს მიმართულება ინსტიტუტის ერთერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მეცნიერები სწავლობენ კლიმატური ელემენტების —



„პარტიის რევოლუცია“ — ხალხის ისტორიული მონაპოვარი

რამდენიმე წლის წინ ერთერთმა პოლიტოლოგმა ინტერვიუში თქვა — საქართველოს მსოფლიო საზოგადოება მხოლოდ მაშინ აღიარებს დემოკრატიულ ქვეყნად, როცა ზედიზედ სამჯერ მინიმუმ შეცვლით პრეზიდენტს არჩევნების გზით. მაშინ მას ამის თქმის საფუძველი ჰქონდა, რადგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყველა პირველი პირი ძალის გამოყენებით ჩამოვაშორეთ ხელისუფლებას.

ხალხის ბოლო ამგვარი გადაწყვეტილება 2003 წლის 23 ნოემბერს აღსრულდა! როცა საქართველოს ისტორიის ამ ეტაპზე ვსაუბრობთ, ყველას ერთი კადრი ახსენდება: საქართველოს პარლამენტის შენობასთან შეკრებილი ათობით ათასი ადამიანი ვარდებით ხელში ცდილობს ახლად არჩეული პარლამენტის პირველ სხდომას დაესწროს...

გავა რამდენიმე დღე და ამ „მცდელობას“ „ვარდების რევოლუცია“ დავუკავშირებ... ასე გაცივრებს მსოფლიო მავიზებისპირეთის ერთ პატარა ქვეყანას, რომელმაც იმ დღეს ხმა-მალა განაცხადა, რომ არმემდგარ სახელმწიფოთა ნაცრისფერ ზონაში დარჩენა აღარ სურდა!

23 ნოემბერს, საქართველოს ხელისუფლებაში რევოლუციის გზით მოვიდა ძალა, რომელმაც თითქმის დანგრეული სახელმწიფო განვითარების გზაზე დააყენა. რვა წელი ძალიან ცოტაა ძლიერი, დემოკრატიული ქვეყნის ასაშენებლად, მაგრამ თუ განვიხილავთ ვას გადავხედოთ, აღმოვაჩინებთ — იმ საქართველოდან, როცა პურის რიგებში დგომა ჩვეულებრივი ამბავი იყო, როცა ნავთის ქურები ყველაზე დიდ ფუფუნებად მიიჩნეოდა და სინათლე მხოლოდ პობოლების ფანჯრებიდან ანათებდა, აღარაფერი დარჩა: გატარდა რეფორმები, ნება, მაგრამ დაბეჯითებით ვაგრძელებთ სვლას დასავლური ლიბერლების დამკვიდრების კენ. ცხადია, ისტორიის ამ მოკლე მონაკვეთში ყველაფერი ვერ მოესწრებოდა. ამიტომაც „ვარდების რევოლუციის“ მონაპოვარი ხშირად ხდება დისკუსიის საგანი.

რა მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება რევოლუციის შემდგომ? შეიცვალა თუ არა საზოგადოების მენტალიტეტი? მოხერხდა თუ არა ძირითადი რეფორმების გატარება და არის თუ არა დღეს საქართველო ქვეყანა, რომელიც მყარად დგას დემოკრატიის გზაზე? ამ საკითხებზე გვესაუბრება თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ალექსანდრე კუხინანიძე

მაია ტორაძე

— ბატონო ალექსანდრე, სანამ უშუალოდ „ვარდების რევოლუციის“ შეფასებას ვთხრობ, ორივე სიტყვით ვთქვათ, რამდენად იყო რევოლუციის საჭიროება 2003 წლის 23 ნოემბერს?

— ეს არ არის შორეული წარსული და ყველა დამეთანხმება, რომ 1990-იან წლებში ქვეყანა, ფაქტობრივად, ინგრეოდა — ეკონომიკა აღარ არსებობდა, სოფლის მეურნეობა განადგურებული იყო, ინფრასტრუქტურა — მთლიანად მოშლილი. იმ პერიოდში ენერგოსისტემამ კოლაფსი განიცადა — გახსოვთ, ალბათ, რა ელექტრომომარაგება ჰქონდა საქართველოს და როგორ ბატონობდა ყაჩაღობა და ბანდიტიზმი, როგორ ყვაოდა კორუფცია ყველა დონეზე. დღეს, როცა დისკუსიებს ვუსმენ, ვფიქრობ, რომ ხანდახან ხალხს ავიწყდება, რა მდგომარეობაში ვცხოვრობდით!

ის, რაც 2003 წელს მოხდა, იყო შედეგი იმ პოლიტიკისა, რასაც ინდროიდული მთავრობა საქართველოში ახორციელებდა. პირველი პოლიტიკური კრიზისი მაშინ გამოვლინდა, როცა რევოლუციის ფარული მხარდამჭერი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ფინანსური შემოწმებისთვის ტელევიზიაში რატომღაც უშიშროება შევიდა. ამ ფაქტს მაშინ ხმამაღალი განცხადებები, საპროტესტო დემონსტრაციები და საბოლოოდ მთავრობის გადადგომა მოჰყვა. ასე რომ, კრიზისი არსებობდა და ამ კრიზისმა ქვეყანა რევოლუციამდე მიიყვანა.

— ტერმინი „ვარდების რევოლუცია“ უკვე დამკვიდრებულია და საზოგადოების დიდი ნაწილი აღარ დავობს იმ პერიოდში ცვლილებების საჭიროებაზე, მაგრამ რვა წლის შემდეგაც კი შეიძლება შეხვედეთ ადამიანებს, რომლებიც ამ მოვლენას ვადატრიალებს უწოდებენ. რა ნიშნების მიხედვით ფასდება 23 ნოემბრის მოვლენები რევოლუციად?

— „ვარდების რევოლუცია“ იყო ნამდვილად რევოლუცია და არა გადატრიალება, რადგანაც მაშინ რევოლუციისთვის ფართო სოციალური ბაზა არსებობდა. თუ გახსოვთ, მაშინ თბილისში ხალხმა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოიყარა თავი. თუ პარალელს გავავლებთ 1991-92 წლის ამბებთან, როცა ზვიად გამსახურდია, ფაქტობრივად, ჩამოგდეს, სხვაობა დიდია — გამსახურდიას დროს მოხდა ნამდვილი გადატრიალება, რადგანაც მასში ხალხის მასა არ მონაწილეობდა. შეგახსენებთ — იმ დროს როცა რუსთაველზე გამსახურდიას მოწინააღმდეგეებსა და მომხრეებს შორის ორკვირიანი შეიარაღებული შეტაკება მიმდინარეობდა, ქალაქის და საქართველოს რეგიონების დანარჩენი ნაწილი ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა — მუშაობდა მაღაზიები, ბაზარი და ა.შ. ხალხი მაშინ ფიქრობდა, რომ ეს იყო ორ პოლიტიკურ დაჯგუფებას შორის დაპირისპირება. ამიტომაც ეს იყო პოლიტიკური გადატრიალება.

რაც შეეხება „ვარდების რევოლუციას“, ის, თავისი ბუნებით, ნამდვილი რევოლუცია იყო. დამოუკიდებლობის პირველი ათწლეულის შემდგომ ხალხს უკვე მოეზურებოდა შეიარაღებული გამეფების იდეა, კრიზისული და ჩინოვნიკებში გამეფებული კორუფცია. ამიტომაც ლოზუნგები, რომელიც მაშინ ნაშობდებოდა, ეხებოდა მათ გადაყენებას და ქვეყანაში ნებისმიერი დამყარების. ეს რევოლუცია ტიპობრივად ანტიკორუფციული და ანტიკრიმინალური რევოლუცია გახლდათ. ამას ადასტურებს ისიც, რომ რევოლუციის შემდეგ ხალხის დაკვეთა იყო ქვეყანაში დემოკრატიული ცვლილებების დანერგვა, კორუმპირებული ჩინოვნიკების დაკვეთა, დამნაშავეთა სამყაროს განადგურება და ორგანიზებული დანაშაულის აღკვეთა, რაც, პრინციპში რევოლუციის გზით მოსულმა ხელისუფლებამ ნაწილობრივ ასრულა.

— რა არის რევოლუციის ყველაზე ხელშესახები მიღწევა?

— როგორც დღეს არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია აღიარებს, ყველაზე მთავარი იყო სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა კი, სამართალდამცავი სტრუქტურების რეფორმა.

დავინახოთ ცოტა შორიდან. როგორც ზემოთ აღვნიშნე, რევოლუციის შემდეგ ხალხის დაკვეთა იყო კორუმპირებული ჩინოვნიკთა დაკვეთა და კრიმინალური სამყაროს განადგურება. რევოლუციის გზით მოსულმა ხელისუფლებამ პირველივე ეტაპზე დაიწყო ამ დაკვეთის აღსრულება. შეგახსენებთ, ეს ჯერ კიდევ ის პერიოდი იყო, როცა საქართველოში არაერთგვაროვანი სამართალდამცავი სისტემა ფუნქციონირებდა. პოლიცია ძველი კადრებით იყო დაკომპლექტებული, ვერ ფლობდნენ კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე მეთოდებს და არ ჰქონდათ დამნაშავეებთან ბრძოლის მტკიცე ნება. ამიტომაც ისე ხდებოდა, რომ ხშირად მათ დაკავებულებს მიმართ საკმარისი მტკიცებულებების ხელთ არც კი ჰქონდათ და მხოლოდ მათი დაკავების შემდეგ იწყებდნენ ამ მტკიცებულებების მოძიებას. ამან გამოიწვია ის, რომ დაკავებულების წინ იმ ოჯახებში, სადაც ჩხრეკა მიმდინარეობდა, ხშირად „პოლიციის“ ნარკოტიკებს და ირღვეოდა ადამიანის უფლებები. მართალია, ამ საკითხზე სათანადო გამოძიება ჯერაც არ ჩატარებულა, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არაპროფესიონალიზმის გამო პოლიცია დაკავებულების წინააღმდეგ არა კანონიერ მეთოდებს იყენებდა.

ამ ეტაპს მოჰყვა ლოკალური გადაწყვეტილება — საჭირო იყო შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მისი სტრუქტურების რეფორმირება, რაც, თავის მხრივ, ხელისუფლებას საშუალებას მისცემდა უფრო აქტიურად და მოქნილად ებრძოლა დამნაშავეების წინააღმდეგ, ხოლო საზოგადოებას ამ სტრუქტურების მიმართ ნდობას გაუზიარებდა. სწორედ ჩატარებულმა რეფორმამ შედეგი გამოიღო — დღეს საქართველო ერთერთი უსაფრთხო და არაკორუმპირებული ქვეყანაა, რაც რევოლუციის სერიოზულ მონაპოვრად უნდა განვიხილოთ. აქვე უნდა ვთქვა ისიც, რომ შესაძლებელია ვაკრიტიკებდეთ შინაგან საქმეთა მინისტრის რომელიმე ქმედებას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის უზარმაზარი სტრუქტურული ერთეულის მენეჯერია და თუ სიმართლე გინდათ ითქვას, საქართველოს არასოდეს ჰყოლია ისეთი ეფექტური მინისტრი, როგორცაა ვანო მერაბიშვილი. სწორედ მისი და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციის ძალისხმევით შედეგია ის, რომ დღეს ქვეყანაში ორგანიზებული დანაშაული აღარ არსებობს იმ ფორმით, რა ფორმითაც ის არსებობდა — განადგურდა „კანონიერი ქურ-



თემის რესპონდენტი
ალექსანდრე კუხინანიძე

დების“ ინსტიტუტი, მკვეთრად შემცირდა დანაშაულთა რაოდენობა და მანქანების ქურდობა, რომ აღარაფერი ვთქვათ ოჯახებზე შეიარაღებულ თავდასხმებსა და ბიზნესისთვის ფულის გამოძალავებაზე.

ცალკე უნდა ითქვას კორუფციის დონის შემცირებზე — ნათელია, რომ ქვეყანა ეფექტურად ებრძვის მას და უკანასკნელ ხანს ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, ერთერთი ლიდერია ანტიკორუფციული რეფორმებით გამოჩენილ ქვეყნებს შორის.

მიღწევათა შორის უნდა ვახსენოთ საქართველოში ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნების მქონე ზრდა. იქნება ეს გზების მშენებლობა, ენერგოპრობლემის გადაჭრა, დასაქმების სხვადასხვა პროგრამების ამოქმედება, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და სხვა. საქართველო არასდროს შენდებოდა ისე, როგორც დღეს შენდება და ეს, ცხადია, ამ ხელისუფლების დამსახურებაა.

— თქვენ არაფერი ვითქვამთ საქართველოს სწრაფად ჩრდილოატლანტიკურ ალიანსისა და ევროსტრუქტურებისაკენ. ხელისუფლება ხშირად აღნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა დღეს ყველაზე ახლოსაა ამ სტრუქტურებთან...

— დიას, შესაძლოა საკუთარი ისტორიის მანძილზე, მართლაც, ყველაზე ახლოს ვიყოთ მიზანთან, მაგრამ ყველა დასავლური სტრუქტურა მიანიშნებს, რომ საქართველოს ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი დემოკრატიის განვითარების მხრივ.

სხვათა შორის, უნდა ვთქვა, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ერთადერთი მიმართულება, რომელშიც არც ისეთი დიდი პროგრესია, ეს არის სწორედ დემოკრატიის განვითარება. 2003 წელს, კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, დაირღვა ბალანსი ხელისუფლების სამ შტოს — სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, მოხდა ძალაუფლების კონცენტრაცია აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში, რამაც შეასუსტა როგორც სასამართლო, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლება. შედეგად მივიღეთ არც თუ სასიამოვნო შეფასებები როგორც ქართულ, ასევე უცხოურ პრესაში, ინერგება, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობა საქართველოში პრობლემატურია და რომ პოლიტიკა სამართალდამცავ ორგანოებზე დომინირებს. ეს სერიოზული პრობლემაა. როგორც ჩანს, ამ საკითხზე საქართველოს ხელისუფლებაშიც იფიქრებს და გარკვეული ცვლილების გატარებაც დაიხსენებენ. იმედოვნებ, რომ ის კონსტიტუციური ცვლილებები, რაც პარლამენტმა რამდენიმე თვის წინ მიიღო, რაღაცნაირად გამოასწორებს ამ მდგომარეობას.

— იქნებ დაკავკონკრეტოთ რა ცვლილებებზეა საუბარი?

— საუბარია საქართველოში გაფართოებული უფლებამოსილების მქონე პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შემოღებაზე 2013 წლიდან. ამ პოსტზე დაინიშნება საპარლამენტო უმრავლესობის მიერ დასახელებული კანდიდატი. პრობლემა აქ ის კი არ არის, თუ ვინ დაიკავებს პრემიერ-მინისტრის პოსტს, არამედ ის, თუ რამდენად სამართლიანი და თავისუფალი იქნება მომავალი საპარლამენტო არჩევნები.

— ბატონო ალექსანდრე, იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის (ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა), რომლებიც იმდენი მომცემნი იყვნენ დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით, არჩეული გზის ერთგული მხოლოდ საქართველო დარჩა. მაგალითად, უკრაინაში, „ნარინჯისფერი რევოლუცია“ მალე დამარცხდა, ხოლო ყირგიზეთის სათავეში რუსეთის მხარდამჭერი პრეზიდენტი არჩევნების გზით მოვიდა... რა არის იმის მიზეზი, რომ რევოლუციის მონაპოვარი ჩვენთან ხანგრძლივი და მდგრადი აღმოჩნდა? ეს საზოგადოების მენტალიტეტის ცვალებადობის შედეგია თუ ხელისუფლების სწორი კურსის?

— ზოგადად, რევოლუციური ცვლილებები არ არის საუკეთესო ფორმა ხელისუფლების შეცვლისთვის. საუკეთესო გზა არის, ევოლუციური განვითარება და ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით. რევოლუცია, როგორი მშვიდობიანიც არ უნდა იყოს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში სამართლებრივ ვაკუუმს ქმნის: ძველი ხელისუფლება მიდის, ახალი ხელისუფლება კი, რომელიც რევოლუციურ ტალღაზე მოსული, აღარ ცნობს ძველ კორუფციულ კანონებს, შესაბამისად, იგი ახორციელებს მმართველობას არა კანონის უზენაესობის საფუძველზე, არამედ, შეხვედრისაზე. ეს არის ყველაზე საშიში მომენტები, როცა ქვეყანას მართავდა არა სამართლებრივად, არამედ იმის მიხედვით, თუ ვის რა მოსაზრება აქვს.

იმას, რომ საქართველოში „ვარდების რევოლუცია“, როგორც რეფორმა, დღესაც გრძელდება, აქვს თავისი მიზეზები: ყველაზე მთავარი არის ის, რომ საქართველოში არსებობს რეფორმების გაგრძელების პოლიტიკური ნება და შეკრული, პროფესიონალურად მომზადებული მმართველი გუნდი. საქართველოს პრეზიდენტი არის მიზანსწრაფული პიროვნება და გადაწყვეტილების მიღების დროს არ მერყეობს, რაც რეფორმებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი თვისებაა.

თქვენ ზემოთ უკრაინა ახსენეთ. საქმე ისაა, რომ „ნარინჯისფერი რევოლუცია“ იმთავითვე განწირული იყო დამარცხებისთვის, რადგანაც მათმა ლიდერმა ვიქტორ იუშენკომ ვერ მოახერხა სათანადო რეფორმების გატარება. ამასთან ის ლოიალური და რბილი აღმოჩნდა გადაწყვეტილების მიღების დროსაც. შედეგად, მიუხედავად დემოკრატიული ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნებისა, უკრაინამ მიიღო, საკმაოდ არადემოკრატიული პრეზიდენტი იანუკოვიჩის სახით. დღეს უკრაინელები ჩივიან იმაზე, რომ იზღუდება დემოკრატიული უფლებები და მათი ხელისუფლება რუსეთის ხელისუფლებას ემსგავსება.

რაც შეეხება ყირგიზეთს — იქ რეფორმებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად, წინა პრეზიდენტმა თავად გამოავლინა მისწრაფება არაკანონიერი ქმედებისაკენ, რის გამოც ის ჩამოაცილეს მმართველობიდან.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანას ტრადიციულად ცუდი ურიერთობები აქვს რუსეთთან, რომელიც საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ მუდმივად ცდილობს გადააქციოს საქართველო ვასალურ ქვეყნად. ასე იყო შევარდნაძის დროსაც და გრძელდება დღესაც. რუსეთთან დაძაბულობა იწვევს საქართველოს მისწრაფებას დასავლეთისაკენ — იგი ეძებს დაცვას დასავლეთსა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. ეს აძლიერებს საქართველოს პოლიტიკური ელიტის ორიენტაციას ევროპაზე და ხელს უწყობს დასავლეთის დემოკრატიული ფასულობების არადემოკრატიულ ფასულობებზე გამარჯვებას. ეს, ობიექტური ტენდენციაა. თუმცა არსებობს, ჩემი აზრით, სუბიექტური მომენტი, რომელიც დაკავშირებულია, ისევე და ისევე, იმ გადატრიალებასთან, რომელიც საქართველოში 1991-1992 წლებში მოხდა. ზვიად გამსახურდიას ჩამოგდების შემდეგ, როგორც პოლიტიკურ ქაოსს, სხვადასხვა შეიარაღებული კრიმინალური დაჯგუფებების თარეშს და სეპარატიზმის გაძლიერებას. დაიღუპა უამრავი ადამიანი და დაინგრა ეკონომიკის ყველა სექტორი, რამაც საზოგადოების დემორალიზაცია გამოიწვია. ეს ახსოვდა ხალხს და არავის, მათ შორის, არც შევარდნაძეს არ უნდოდა, რომ რაიმე ფორმით განმეორებულიყო ის, რაც 90-იან წლებში მოხდა. ხალხის ისტორიულმა მეხსიერებამ განაპირობა ის, რომ რევოლუცია ხავერდოვანი გამოვიდა.

ასე რომ, საქართველო რჩება მზარდი განვითარების პერსპექტივის მქონე ერთადერთ ქვეყნად, სადაც რეფორმების ფონზე, დღესაც, მიმდინარეობს დასავლური სტანდარტებისაკენ სვლა.



ილიას გამართლებული რისკიანი პროექტი

25 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში სამეცნიერო კონფერენცია მიმდინარეობდა გამომჩინილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის დაბადებიდან 165 წლისთავს, რომელზეც თსუ-ის პროფესორმა დიმიტრი შველიძემ დაამსწრე საზოგადოებას ახლად გამოცემული წიგნი — ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებების I ტომი წარუდგინა. სამეცნიერო კონფერენციაზე მოწვეულმა პროფესორებმა, პოლიტოლოგებმა და სტუდენტებმა თავიანთ მოხსენებებში სწორედ ვარლამ ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის საინტერესო ასპექტებზე გაამახვილეს ყურადღება და მრავალმხრივი კუთხით წარმოაჩინეს რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისგან მთელი ცხოვრების მანძილზე დევნილი, 1888 წლიდან ლონდონში გადახვენილი ქართველი პატრიოტ-ანარქისტი.

შურთხია ბაროშვილი

მსოფლიო ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ლიდერის და იდეოლოგის, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილის ცხოვრების გზა რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე იყო. სამშობლოდან გადახვენილი და რუსეთის იმპერატორისგან დევნილი ანარქისტი, მიუხედავად თავისი მსოფლმხედველობისა, ყოველთვის ცდილობდა თავის ქვეყანას დახმარებოდა. ვარლამ ჩერქეზიშვილის ანარქისტულ საქმიანობას მხოლოდ ერთი სფერო, ერთი საზრუნავი და ერთი პრობლემა ზღუდავდა, წყვეტდა და ენაცვლებოდა — ეს გახლდათ საკუთარი ქვეყნის მთავარი პოლიტიკური პრობლემა — ეროვნული თავისუფლება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ურთიერთობა ილია ჭავჭავაძესთან, რომელიც რისკის ფასად ბეჭდავდა დევნილი ანარქისტის სტატიებს „ივერიაში“ „ვაზიანის“ ფსევდონიმით. სწორედ ვარლამ ჩერქეზიშვილმა გააცნო ქართველ საზოგადოებას მარჯორი უორდროპი. ამასთან, იგი ყოველთვის მფარველობდა უცხოეთში მოხვედრილ ქართველებს და ევროპულ გაზეთებში განუწყვეტილად წერდა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ქართველი საზოგადოებისთვის ვარლამ ჩერქეზიშვილის მოღვაწეობა კარგად არის ცნობილი, თუმცა მისი პუბლიცისტური წერილებისა და კორესპონდენციების კვლევა-ძიება არ დასრულებულა. ამიტომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გამართულმა ღონისძიებამ, რომელიც ვარლამ ჩერქეზიშვილის მოღვაწეობას და მისი თხზულებების კრებული პრეზენტაციას მიეძღვნა, ქართველი მეცნიერების, პოლიტოლოგებისა და სტუდენტების დიდი ინტერესი გამოიწვია.

ვარლამ ჩერქეზიშვილის პუბლიცისტური მემკვიდრეობის პირველი ტომის გამოცემა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის გურამ თევზაძის ინიციატივით გახდა შესაძლებელი, რომელმაც ღონისძიებაზე ცნობილი მოღვაწის ზოგიერთ მნიშვნელოვან ასპექტზე გაამახვილა ყურადღება.

„დიდი ქართველი ანარქისტი და პატრიოტი საქართველოს ყოველთვის მფარველობდა, მაშინაც კი, როდესაც მის წინაშე არჩევანი დგებოდა — ვარლამ ჩერქეზიშვილი არჩევანს უყოყმანოდ სამშობლოს სასარგებლოდ აკეთებდა. იგი ყოველთვის ილიას გზას ირჩევდა და მას მიჰყვებოდა, ამასთან ყველაფერს აკეთებდა, რათა საქართველო რუსეთის მარნუხებისგან გათავისუფლებულიყო და დამოუკიდებელი გამხდარიყო. მას დიდი გავლენა ჰქონდა ევროპაში და ამას კარგად იყენებდა თავისი ქვეყნის სასარგებლოდ. სწორედ ამდენად ჩვენი მნიშვნელოვანი — უკეთესად შევისწავლოთ ამ პიროვნების ცხოვრება, რასაც მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობის გაცნობითაც შევძლებთ,“ — განაცხადა გურამ თევზაძემ.

ვარლამ ჩერქეზიშვილის მოღვაწეობის რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე საინტერესოდ ისაუბრა წიგნის შემდგენელმა და რედაქტორმა, თსუ-ის პროფესორმა, ისტორიკოსმა დიმიტრი შველიძემ, რომელმაც საზოგადოებას პირველი ტომის თემატიკაც გააცნო.

„მას შემდეგ, რაც ვარლამ ჩერქეზიშვილი, 1876 წელს ციმბირის გადასახლებიდან ევროპაში გაიქცა, ამავე წელიდან მან წერილების გამოქვეყნება დაიწყო რუსულ და ევროპულ ემიგრანტულ პრესაში. ეს წერილები თემატურად განსხვავდება ერთმანეთისგან. იგი, როგორც ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, აქტიურად აქვეყნებდა თავის დოქტრინებს, სადაც მკაცრად აკრიტიკებდა მარქსსა და ენგელსს, ამავე დროს დიდ ყურადღებას უთმობდა ეროვნულ საკითხებს. ამ სტატიებში იგი მკაცრად აკრიტიკებდა რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში. მისი სტატიები ითარგმნებოდა მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების ყველა ენაზე, მათ შორის, იაპონურად და

ჩინურად. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი პატრიოტი-ანარქისტის წერილებმა და რამდენიმე წიგნმა ევროპულ საზოგადოებას გააცნო საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა და საფუძველი მოუზადა ქართული სახელმწიფოებრივი საკითხის დასმას დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში. 1880-იანი წლების ბოლოს ვარლამ ჩერქეზიშვილმა ინგლისურ ჟურნალ „ტაიმსში“ გამოაქვეყნა სტატია, სადაც საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების პრობლემის შესახებ საუბრობს. აღსანიშნავია, რომ ამ წერილებს კარგად იცნობდა ქართველი საზოგადოება. 1919 წელს, როდესაც საფრანგეთის დედაქალაქში მიმდინარეობდა სამშვიდობო კონფერენცია, იმ პერიოდში გამოქვეყნდა ვარლამ ჩერქეზიშვილის ბროშურა ინგლისურ ენაზე — „საქართველო, მისი ტრადიციები და პოლიტიკური უფლებები“. ამ სტატიით, დასავლეთის პოლიტიკური ელიტის წინაშე, ანარქიზმის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი ვარლამ ჩერქეზიშვილი, როგორც საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამცველი, კიდევ ერთხელ წარსდგა და დამოუკიდებელ ერთა შორის თავისი ისტორიული ადგილის დაბრუნება მოითხოვა,“ — აღნიშნა დიმიტრი შველიძემ.

მანვე ისაუბრა „თხზულებების“ I ტომში შესულ მასალებზეც, რომელშიც, ძირითადად, ის სტატიები შევიდა, რომელიც „ივერიაში“ და „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთი შეხედვით ძალიან უცნაური იყო ილია ჭავჭავაძის მიერ ცნობილი ანარქისტის მოწვევა „ივერიაში“, სადაც მისი 80-ზე მეტი წერილი გამოქვეყნდა, მაგრამ ეს წერილები ეხებოდა ამ ორი პიროვნების მხრიდან სამშობლოს დამოუკიდებლობის ერთნაირ გაგებას. ილიამ ერთგვარად გარისკა და მან მხარი დაუჭირა ვარლამ ჩერქეზიშვილის პროექტს, რომელიც ითვალ



ლისწინებდა ქართული სახელმწიფოს აღდგენისთვის ბრძოლას, გეორგიევსკის ტრაქტატზე დაყრდნობით ისტორიული უფლების ფაქტორის გამოყენებას საერთაშორისო სამართლებრივი ინსტიტუტების მხარდაჭერის მოპოვების მიზნით. ილიამ იგრძნო, რომ საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების საკითხის პოპულარიზაციაში ვარლამ ჩერქეზიშვილის ავტორიტეტს დიდი სამსახურის განევა შეეძლო. თავისუფალი და ევროპული საქართველო — სწორედ ამ გარემოებამ დააკავშირა და დაამეგობრა ილია ჭავჭავაძე და ვარლამ ჩერქეზიშვილი.

როგორც დიმიტრი შველიძემ აღნიშნა, ვარლამ ჩერქეზიშვილის ზოგიერთი წერილი სხვა ქართულ გამოცემებშიცაა გაბეჭდილი, მაგალითად, „დროებაში“, „სახალხო გაზეთში“, „ნობათში“ — ამ და სხვა წერილებს, რომელიც დასავლეთ ევროპულ, რუსულ ან სხვა ქვეყნების პრესაშია გაფანტული, შეკრება ესაჭიროება. „დღევანდელი ქართველი მკითხველი, რომელიც ვარლამ ჩერქეზიშვილის პუბლიცისტურ მემკვიდრეობას



გაცნობა, აღმოაჩენს, რომ მას ბევრი რამ აკავშირებს ვარლამ ჩერქეზიშვილის იდეებთან,“ — აღნიშნა დიმიტრი შველიძემ.

სტალინთან მისი დისკუსია დღემდე გრძელდება

როგორც ცნობილია, XX საუკუნის დასაწყისში ვარლამ ჩერქეზიშვილსა და იოსებ სტალინს შორის მწვავე დისკუსია გაიმართა, რომლის შესახებ პოლემიკა დღემდე გრძელდება. დამსწრე საზოგადოებას ამ საკითხზე თავისი მოსაზრება პოლიტოლოგიის დოქტორმა ელბერტ ბატიაშვილმა გააცნო. მისი ინფორმაციით, ვარლამ ჩერქეზიშვილის პოლემიკა სტალინთან 1906-1907 წლებში წარიმართა, როდესაც ვარლამ ჩერქეზიშვილმა მარქსიზმი ამხილა. ამის გამო ევროპელმა და რუსმა მარქსისტებმა გადაწყვიტეს, პასუხი გაეცათ მისთვის და, რადგან სტალინი წარმოშობით ქართველი იყო, მას დაავალეს ამ მისიის შესრულება. სწორედ ამის შემდეგ შექმნა სტალინმა თავისი ცნობილი წერილები სერია — „სათაურით „ანარქიზმი თუ სოციალიზმი“, რომელიც სისტემატურად იბეჭდებოდა გაზეთ „ბრძოლაში“.

„სტალინსა და ჩერქეზიშვილს შორის დაპირისპირება და დისკუსია იმ საკითხზეც წარიმართა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო პირველი რუსეთში დაწყებულ რევოლუციაში — XIX საუკუნის 70-80 წლებიდან მომდინარე რუსული ანარქიზმის საკითხი და გავლენიანი მიმდინარეობა თუ ახლად წარმოშობილი რსდმპ ბოლშევიკური ფრთა. ამ იდეურმა დაპირისპირებამ რუსულ მარქსიზმსა და ევროპულ ანარქიზმს შორის მრავალმხრივი განსაზღვრა XX საუკუნის არა მარტო რუსეთის, არამედ მსოფლიო ისტორიაც. დღევანდელი გლობალიზაციისა და ნაციონალიზმის მსგავსად, მაშინაც ამ ორი იდეის გარშემო დაირაზმა მთელი მსოფლიოს მოაზროვნე საზოგადოება. ვარლამ ჩერქეზიშვილი იყო პირველი, ვინც ერთერთმა პირველმა აჩვენა მარქსიზმის პლაგიატი ბუნება. მისი პარიზში გამოცემული წიგნი — „მარქსიზმის დოქტრინები“ იმდენად პოპულარული გახდა, რომ გარდა ევროპული ენებისა, რუსულადაც ითარგმნა და საჭირო გახდა მარქსიზმის ავტორიტეტის დაცვა, რაც არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა. სტალინის პოლემიკა ჩერქეზიშ-

ვილთან და მის ქართველ თანამოაზრებთან — მომავალ სოციალ-ფედერალისტებთან თითქმის მთელი წელი გრძელდებოდა გაზეთ „ნობათისა“ და „ბრძოლის“ ფურცლებზე. პოლემიკა ჩერქეზიშვილისა და სტალინის გარდაცვალების შემდეგაც არ შეწყვეტილა. ის დღესაც გრძელდება და ჩვენთვის საინტერესოა, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილმა გააკეთა დასკვნა, რომ მარქსიზმის ხედვით აშენებული სოციალიზმი არ არის ნამდვილი სოციალიზმი,“ — აღნიშნა ელბერტ ბატიაშვილმა.

ქვეყნიერება საქართველოზე პირველად დაილაპარაკა

იმ მრავალ პატრიოტულ-პოლიტიკური აქტებიდან, რომელიც ვარლამ ჩერქეზიშვილის ინიციატივით განხორციელდა, ერთერთი უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოს პეტიციის წარდგენა ჰააგის კონფერენციაზე. ამ საკითხზე საინტერესო მოხსენება თსუ-ის მაგისტრანტმა მანუჩარ გუნცაძემ წარმოადგინა. მისი ინფორმაციით, 1900-იან წლებში ვარლამ ჩერქეზიშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დიდი მიზნის მისაღწევად მხოლოდ ბეჭდვითი პროპაგანდა საკმარისი არ იქნებოდა და საჭირო იყო ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა და დასავლეთ ევროპის ელიტის ქმედითი დახმარება. საჭირო იყო საერთაშორისო საზოგადოების წინაშეც აქტიურად დასმულიყო საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი. ამისათვის კი საუკეთესო ადგილი იქნებოდა ჰააგის კონფერენცია, რომელიც 1907 წლის აგვისტოში უნდა გამართულიყო. ამ კონფერენციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოსთვის, რადგან აქ უნდა განხილულიყო მთელი რიგი სამხედრო საკითხები; გაძლიერებული შეიარაღების შეჩერება; მეომარ მხარეთა ვალდებულებები; ნეიტრალურ სახელმწიფოთა უფლება-მოვალეობები და სხვ.

კონფერენციაზე პეტიციის წარდგენა 1906 წელს გადაწყდა და ის ჩერქეზიშვილის ინიციატივით შედგებოდა, ცნობილი მოღვაწეებმა დრაიპორსტმა და ნევისონმა ც მონიონეს საქართველოში ყოფნის დროს. პეტიციის ტექსტის მთავარი აზრი იყო რუსეთის წარმოჩენა გეორგიევსკის ტრაქტატის დამრღვევად და საქართველოს დამპყრობლად. საქართველოს პეტიცია კონფერენციის ოქმებშიც იქნა შეტანილი. ამ პეტიციით ქართველი ხალხი უჩიოდა რუსეთს გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევას.

პეტიციის ტექსტის ძირითადი ნაწილი ვარლამ ჩერქეზიშვილმა მოამზადა, თუმცა მის შექმნაში მონაწილეობდნენ ცნობილი ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა და მიხაკო წერეთელიც.

საჭირო იყო, ასევე, ხელმოწერების შეგროვება პეტიციაზე, რასთან დაკავშირებითაც ჩერქეზიშვილი წერს: „სულ მოკლე დროში პეტიციის ქართული ტექსტი დაიფარა ხელის მოწერით. ხელს აწერდნენ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მუშები, გლეხები, თავად აზნაურები, სასულიერო და მოხელენი... როდესაც გავცაწი ხელისმომწერთა სახელებს, მათ პროფესიასა და საზოგადოებრივ მდგომარეობას, მე უნებლიედ გავოცდი მათი მოქალაქეობრივი სიმამაცით“.

აღსანიშნავია, რომ პეტიციის ტექსტი გამოქვეყნდა აშშ-ის, ბელგიის, იტალიის და, საერთოდ, დასავლეთ ევროპის ქვეყნების პრესაში.

ვარლამ ჩერქეზიშვილის შეფასებით, „მთელი საუკუნის განმავლობაში თითქმის პირველად მოხდა, რომ ქვეყნიერებამ საქართველოზე დაილაპარაკა“. მართლაც, საქართველოს პეტიციის წარდგენა ჰააგის კონფერენციაზე იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქართველი ხალხის პოლიტიკური თავისუფლების საკითხი ფართომასშტაბიანი მნიშვნელობის საერთაშორისო ფორუმზე წამოიჭრა. მართალია, კონფერენციის დღის წესრიგში საქართველოს საკითხი არ შეუტანიათ და არ განუხილავთ, თუმცა ევროპულ-ამერიკულმა პოლიტიკურმა ელიტამ პირველად დააფიქსირა ქართველი ხალხის სურვილი ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ. ამ მხრივ, დიდი იყო ვარლამ ჩერქეზიშვილის დამსახურება.



დარგის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდანაც საჭიროა

საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე მრავალი წელია სამართლიანად ითვლება ქართველოლოგიური კვლევების მთავარ კერად. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე შექმნილი ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციასა და ამ კუთხით კვლევების პოპულარიზაციას ემსახურება. ამჟამად ცენტრში ორი საერთაშორისო პროგრამა ხორციელდება, რომელიც ქართველოლოგიური საქმიანობისთვის მეტად მნიშვნელოვანია, კერძოდ, ფუნქციონირებს საზღვარსარეთო ქართველოლოგიური სკოლა უცხოელთათვის და მიმდინარეობს მუშაობა ორენოვანი ჟურნალის — „ქართველოლოგია“-ს გამოცემაზე.

შურთსია გაროშვილი

პირველი საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი, რომელიც აკაკი შანიძის დაბადებიდან 100 წლისთავს დაუკავშირდა, 1987 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასშტაბურად აღინიშნა; II საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი უნივერსიტეტის 70 წლისთავს მიეძღვნა; III სიმპოზიუმის გამართვა კი ლონდონში იყო დაგეგმილი, მაგრამ, ინგლისის სამეცნიერო წრეების აქტიური მხარდაჭერის მიუხედავად, საქართველოში არსებული მძიმე სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. IV სიმპოზიუმი 2002 წელს, V კი — 2006 წელს გაიმართა. ყოველი სიმპოზიუმის გამართვა გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ქართველი და უცხოელი მეცნიერების ძალისხმევითა და ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის ხელმძღვანელის, პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის თაოსნობით სიმპოზიუმები მაინც ტარდებოდა.

ტრადიციულად, საერთაშორისო ქართველოლოგიურ სიმპოზიუმებზე ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობას იღებენ მსოფლიო სამეცნიერო ცენტრების ცნობილი ქართველოლოგებიც, რომლებსაც, სამეცნიერო ინტერესების გარდა, საქართველოსთან დიდი სიყვარული აკავშირებთ. ყოველი სიმპოზიუმი ერთგვარად აჯამებს გასული წლების მუშაობას და გარკვეული ანალიზი კეთდება, თუ როგორ ვითარდება ეს დარგი და რა სახის შედეგები იყვანება.

14 ნოემბერს კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში“ გამართული VI საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის სახეობა გახსნაზე ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის დამფუძნებელმა, პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ დამსწრე საზოგადოებას კიდევ ერთხელ შეახსენა ამ დარგის განვითარების აუცილებლობა და მნიშვნელოვანი ღონისძიებების მოწყობის მხარდაჭერისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ალექსანდრე კვიციანიძეს მადლობა გადაუხადა.

სიმპოზიუმის მნიშვნელობაზე ისაუბრეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა თამაზ გამყრელიძემ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ, აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ, პროფესორმა რისმაგ გორდეზიანმა, ფრანგმა მეცნიერმა ბერნან უტიემ და სხვებმა.

სიმპოზიუმის მნიშვნელობა შეაფასა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიციანიძემ. მან აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ენისა და კულტურის შესწავლა უცხოელების მხრიდან, ხოლო ამგვარი სიმპოზიუმების გამართვა მეტად არსებითი და აუცილებელია ქართველოლოგიის განვითარებისთვის.

„ჩვენ მომავალშიც ხელს შევუწყობთ ამგვარი ღონისძიებების გამართვას. ახლახან იენის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან გვექონდა შეხვედრა, სადაც მრავალი საინტერესო იდეა წამოიჭრა. ჩვენი სურვილია გერმანიაში მიმოფანტული ქართველოლოგების გაერთიანება და მძლავრი ქართველოლოგიური ცენტრის ჩამოყალიბება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყველა ასეთ ინიციატივას მიესალმება“, — აღნიშნა ალექსანდრე კვიციანიძემ და დასძინა, რომ მომავალში, შესაძლოა, სიმპოზიუმი ევროპაში, კერძოდ, გერმანიაში გამართოს.

პროფესორ რისმაგ გორდეზიანს მიაჩნია, რომ ამ დარგის განვითარებაში საჭიროა სახელმწიფო უფრო აქტიურად ჩართოს.



„ასეთი სიმპოზიუმი დიდი სტიმულის მომცემია იმისთვის, რომ ქართველოლოგიური კვლევები გაგრძელდეს და განვითარდეს. სერიოზული ფიქრი გვმართებს, თუ როგორ შევუწყობთ ხელი მსოფლიოს აღიარებულ სამეცნიერო ცენტრებში ქართველოლოგიის განვითარებას. ეს მარტო კეთილი სურვილებითა და სიმპოზიუმების გამართვით არ მოხერხდება. ვფიქრობ, დარგის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდანაც საჭიროა ისევე, როგორც ეს ხდება აზერბაიჯანში, სომხეთსა და უკრაინაში. ამ ქვეყნების ენასა და კულტურას მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში შეისწავლიან, რა მხრივაც დიდი ფინანსური მხარდაჭერა სწორედ სახელმწიფოსგან აქვთ. ამ მიმართულებითაც უნდა ვიფიქროთ და შევთავაზოთ ხელისუფლებას გონივრული პროექტი, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქართველოლოგია მომავალში“, — აღნიშნა რისმაგ გორდეზიანმა.

დამსწრე საზოგადოებას საკუთარი მოსაზრება გაუზიარა აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ: „ყველანი კარგად ვგრძობთ ასეთი შეხვედრების აუცილებლობას. ქართველოლოგია იზოლირებული მეცნიერება არ არის. ისევე, როგორც ყოველი ჰუმანიტარული კვლევა, იგი მჭიდრო კავშირშია მრავალ მეზობელ დისციპლინასთან და სხვადასხვა ქვეყნის კულტურულ ისტორიასთან. ამიტომ არის, რომ ამ ბოლო ხანებში ქართველოლოგიამ დიდი ყურადღება მიიპყრო საქართველოს ფარგლებს გარეთ. დაინტერესდნენ როგორც ქართული ენით, ისე ქართველოლოგიური მეცნიერებით, საქართველოს ისტორიით, ქართული მწერლობით, განსაკუთრებით კი ძველი ქართული მწერლობით. დღევანდელ ეპოქაში, როდესაც კომუნიკაცია ხშირად ტექნიკური საშუალებებით ხდება, ასეთი ტიპის შეხვედრებს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან პირადი კონტაქტები და უშუალოდ აზრთა გაზიარება აუცილებელი და სასიცოცხლო ძალის მიმანიჭებელია მეცნიერებისთვის. მიმანია, რომ ეს სიმპოზიუმი მრავალი ჩვენგანისთვის და განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისთვის ბევრი სახლისა და სარგებლის მომტანია.“

როგორც მოსალოდნელი იყო, სიმპოზიუმის თემატიკა მრავალფეროვანი გახლდათ: მუშაობდა 7 სექცია: პოლონური ქართველოლოგია, ქართული ენა, საქართველოს ისტორია, შუასაუკუნეების ქართული მწერლობა, ახალი და უახლესი ქართული მწერლობა, ქართული ხელოვნების ისტორია და ქართული ფილოსოფიის ისტორია. სიმპოზიუმზე 70 მოხსენება იყო წარმოდგენილი, რომელთა ანოტაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე სიმპოზიუმის მუშაობის დაწყებამდე გამოაქვეყნა „ქართველოლოგიურმა ცენტრმა“. მომხსენებელთა შორის ცნობილი

უცხოელი ქართველოლოგებიც არიან: ბერტ ბეინინი (აშშ), რეუვენ ენოხი და კონსტანტინე ლენერი (ისრაელი), შტეფი ხოტივარი — იუნგერი (გერმანია), მიხეილ ბიბიკოვი (რუსეთი), იასუჰირო კოჯიმა (იაპონია), ბერნარ უტიე (საფრანგეთი) და დავით ყოლბაია (პოლონეთი). ქართველოლოგიური საერთაშორისო სიმპოზიუმი ფრანგმა ქართველოლოგებმა ვინფრიდ ბონიდერმა და ბერნან უტიემაც შეაფასეს.

„არ არსებობს ხე, ფესვების გარეშე... საქართველოც არ არსებობს ქართველოლოგიის გარეშე! ყოველი ასეთი შეხვედრა დიდი ზეიმიია. ამ მეგობრობას დიდი ხნის ისტორია აქვს და იმედი მაქვს, რომ ეს ურთიერთობა კვლავაც გაგრძელდება“, — ასე გამოხატა უცხოელი მეცნიერების აზრი ბერნან უტიემ. სიმპოზიუმის მუშაობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უცხოელი მეცნიერების გარდა, საქართველოს სხვა სამეცნიერო ცენტრებიც მონაწილეობდნენ, მათ შორის, ილიას უნივერსიტეტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი, სოხუმის უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, საერო აკადემია „ფაზისი“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და თსუ-ის ლიტერატურის ინსტიტუტი.

მეექვსე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის დასკვნით, შემავალბელი სხდომა 17 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. სიმპოზიუმის სექციის ხელმძღვანელებმა ოთხდღიანი სამეცნიერო მუშაობა შეაჯამეს. დამსწრე საზოგადოების წინაშე წარადგინეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებული ორენოვანი ელექტრონული რეფერირებადი და რეცენზირებადი ჟურნალის — „ქართველოლოგის“ პირველი ნომერი.

როგორც სიმპოზიუმზე აღინიშნა, დარგის წარმატებისთვის ორენოვანი ჟურნალის არსებობა აუცილებელია. ამის მავალითი სწორედ სამეცნიერო ჟურნალი „ქართველოლოგია“, რომელიც 1993 წელს პროფესორმა ელგუჯა ხინთიბიძემ დააარსა. იგი ქართველოლოგიური სკოლის ცენტრისა და ფონდის მრავალმიმართულებიანი ეროვნული პროგრამის მნიშვნელოვანი ნაშთია. ამ ხნის მანძილზე საერთაშორისო სტატუსის მქონე ჟურნალი პოპულარობით სარგებლობს როგორც ქართულ, ისე ევროპის სამეცნიერო ცენტრებში, რომლის რედაქციის სეკრეტარი არიან ვინფრიდ ბონიდერი, ლუიჯა მაგაროტო, ბერნარდ უტიე და შტეფი ხოტივარი-იუნგერი. ჟურნალში პერიოდულად ქვეყნდება უცხოელი მეცნიერების გამოკვლევები ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიისა და საზოგადოებრივ-კულტურულ საკითხებზე.

წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში VI საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმზე დასასწრებად უცხოელი მეცნიერები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, იაპონიიდან, ისრაელიდან, რუსეთიდან და პოლონეთიდან. 4 დღის განმავლობაში სხვადასხვა სექციაში გაერთიანებულმა მკვლევარებმა თავიანთი ნაშრომები წარმოადგინეს და ამ დარგის განვითარების პერსპექტივებზე იმსჯელეს.

აღსანიშნავია, რომ სიმპოზიუმზე მონაწილეობის მისაღებად საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაცია ჩამოვიდა პოლონეთიდან, რომელსაც პროფესორი დავით ყოლბაია ხელმძღვანელობდა. მან საქართველო 1991 წელს დატოვა და ამჟამად პოლონეთში, ვარშავის უნივერსიტეტში მოღვაწეობს, ამავდროულად კი, იგი კავკასიის სემინარის ხელმძღვანელია. პოლონეთში მისი თაოსნობით გამოდის ყოველწლიური ქართველოლოგიური სამეცნიერო ჟურნალი „პრო გეორგია“, რომელიც გერმანულ, პოლონურ და ინგლისურ ენებზე გამოიცემა. ჟურნალში დაბეჭდილი მასალები არა მხოლოდ ქართველოლოგიურ საკითხებს ეხება, არამედ მთელი კავკასიის ისტორიასა და კულტურას მოიცავს. დღეისთვის „პრო გეორგია“ ერთერთი წამყვანი ჟურნალია მთელ აღმოსავლეთ ევროპაში.

„ჩვენი მიზანია ქართული კულტურის პოპულარიზაცია. ამასთანავე, ჟურნალი აერთიანებს საქართველოსა და კავკასიის კულტურითა და ისტორიით დაინტერესებულ უცხოელ მეცნიერებს. როგორც ცნობილია, ქართულ-პოლონურ ურთიერთობას 200-წლიანი ისტორია აქვს. აღსანიშნავია, რომ ქართველოლოგიური ცენტრის შექმნას 30-იან წლებში პროფესორმა გრიგოლ ფერაქემ ვარშავაში ჩაუყარა საფუძველი. ჩვენ მის მიერ დაწყებულ საქმეს ვაგრძელებთ, რაც ამ ჟურნალის გამოცემითაც დასტურდება. „პრო გეორგია“-ს დიდი წვლილი მიუძღვის ქართველოლოგიური კვლევების განვითარებაში“, — აღნიშნა დავით ყოლბაიამ.

სიმპოზიუმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სხვა ქართველოლოგიურ გამოცემებს, მათ შორის, თსუ-სა და იენის ერთობლივ სამეცნიერო ჟურნალს „გეორგია-კას“, რომლის დაარსება ცნობილ გერმანულ მეცნიერთან ჰაინც ფენდრიხის სახელთან არის დაკავშირებული. ჟურნალი ამჟამად ბერლინში გამოდის. აღსანიშნავია, რომ ცნობილი ქართველოლოგი ჰაინც ფენდრიხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი იყო და აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით მუშაობდა. ამ ჟურნალის დაარსებამდე პირადად მისი ინიციატივით იენის უნივერსიტეტში 3-ჯერ დაიბეჭდა საქართველოსადმი მიძღვნილი შრომები. ჟურნალი „გეორგია“ 1978 წელს პირველად გამოიცა, თუმცა პრობლემები წლების განმავლობაში მაინც არსებობდა. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის დარეჯან თვალთვაძის ინიციატივით, ქართველოლოგიაში ამ და სხვა დამსახურებისთვის, უახლოეს პერიოდში ჰაინც ფენდრიხის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ნოდება მიენიჭება.

სიმპოზიუმის სხდომის მონაწილეებმა — ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა მალაღი შეფასება მისცეს როგორც ქართველოლოგიურ სიმპოზიუმს, ასევე მთლიანად ქართველოლოგიური სკოლის ცენტრის მრავალწლიან მუშაობას. მათ სურვილი გამოთქვეს, რომ ქართველოლოგიური საქმიანობის საერთაშორისო დონეზე გააქტიურებისათვის დაარსდეს ამ საქმიანობის ხელშეწყობის საერთაშორისო ასოციაცია და დაადგინეს, რომ მისი დაფუძნება ითაოს „ქართველოლოგიური სკოლის ფონდმა“, მისი თავმჯდომარეობა კი მიენდოს პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძეს.

სიმპოზიუმის დასკვნით აკორდით იყო 18 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ერთდღიანი ექსკურსია სიღნაღში: ალაზნის ველის რეაბილიტაცია ხელმა, ფორისმანის საკვირველმა შედეგებმა დაუვიწყარი ხიბლი გააყოლა თავიანთ ქვეყნებში უცხოელ ქართველოლოგებს.



სივრცითი კავსიერობა ლინგვისტური კვლევაში შეაჯამა

შურთისა ბაროვილი

ნელს სახელოვან ქართველ ენათმეცნიერს, აფხაზოლოგს, აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის 100 წელი შეუსრულდებოდა. სწორედ მის ხსოვნას მიეძღვნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ლინგვისტ კავსიერობათა III საერთაშორისო სიმპოზიუმი — „იბერიულ-კავსიერობის ენები: სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება“, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა. სიმპოზიუმი 27 ოქტომბერს გაიხსნა და 29 ოქტომბერს მრგვალი მაგიდით დასრულდა, სადაც მეცნიერებმა გლობალიზაციის ეპოქაში კავსიერების ფუნქციონირების საკითხებზე ისაუბრეს.

აღსანიშნავია, რომ III სიმპოზიუმი ლოგიკური გაგრძელება იყო ლინგვისტთა II საერთაშორისო სიმპოზიუმისა, რომელიც არნოლდ ჩიქობავას 110 წლისთავს მიეძღვნა, სადაც ერთგვარად შეჯამდა იბერიულ-კავსიერობის ენათმეცნიერების ფუნქციონირების მემკვიდრეობის საკითხები, განისაზღვრა ამ დარგში არსებული თანამედროვე ვითარება და გამოიკვეთა კვლევითი სამუშაოების პერსპექტივები. III სიმპოზიუმმა კი 2008-2011 წლებში კავსიერობათა ლინგვისტური კვლევები შეაჯამა.

კონფერენციაზე განიხილეს იბერიულ-კავსიერობის ენათმეცნიერების თანამედროვე პრობლემური საკითხი. ამ ენათა ნათესაობის დადგენის თაობაზე მოხსენება აისახა ხალიდოვმა წარმოადგინა. მეცნიერმა მხარი დაუჭირა მიხეილ ქურდიანის შემავაზებულ ნაშრომს და აღნიშნა, რომ იბერიულ-კავსიერობის ენათა ნათესაობის საკითხი ეჭვს არ იწვევს; რომ მიხეილ ქურდიანის კვლევა ენათა ქართველურ და მათს კავსიერობის ენების ნათესაობის კარდინალურ საკითხს, სადაც მკვლევარი მკაცრი და ვერიფიცირებული მეთოდებით ამტკიცებს ნათესაობის საკითხს რეგულარული და კანონზომიერი ბგერათმეცნიერების საფუძველზე. იბერიულ-კავსიერობის ნათესაობის საკითხს სკეპტიციზმით ინდოევროპული ენების მკვლევარები უყურებენ. როგორც აისახა ხალიდოვმა აღნიშნა, ისინი მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ კომპარატივისტიკაში სწორედ იბერიულ-კავსიერობის ენებს. თუ იმავე სიმკაცრით დაისმება საკითხი ინდოევროპული ენების მიმართაც, მაშინ ინდოევროპულ ენათა ნათესაობის ჰიპოთეზის მიხედვით, რომ ინდოევროპულ ენათა ნათესაობა დაიყვანება პირველყოფილ თემურ ნუკლიუსამდე (კონკრეტული ისტორიული მონაცემები ამ პერიოდისა არ არსებობს). რაც შეეხება აფხაზურ-აბაზურ, ქართველურ და აბაზურ-დაღესტურ ენათა შორის მნიშვნელოვან განსხვავებებს, ისინი გამოყენებულია არა შედარებით-ისტორიული მეთოდით, არამედ სინქრონიული შედარებით; იმავე ინდოევროპული ენების სინქრონიული შედარება კი გვაძლევს უფრო მნიშვნელოვან განსხვავებებს. ამასთან, ინდოევროპული ენების მკვლევარები არ მიიჩნევენ ამას სკეპტიციზმის მიზეზად ინდოევროპული ენების ნათესაობის

საკითხში. „როგორი მაღალი მოთხოვნა არ უნდა წაუყენონ იბერიულ-კავსიერობის ენათმეცნიერებს ინდოევროპისტიკაში, ღრმად ვარდარწმუნებული, რომ მიხეილ ქურდიანის ნაშრომი შეესაბამება ამ მკაცრ მოთხოვნებს არანაკლებ, ვიდრე ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაშრომი — მიძღვნილი ინდოევროპული ბგერათმეცნიერების და ამ ენათა ნათესაობის საკითხს“, — აღნიშნა აისახალიდოვმა.

აღსანიშნავია, რომ კავსიერობის ინსტიტუტმა რუსულ ენაზე თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა მიხეილ ქურდიანის ფუნდამენტური ნაშრომი „იბერიულ-კავსიერობის ენათმეცნიერების საფუძველები“, რომლის მნიშვნელობაზე დღეს ბევრს საუბრობენ კავსიერობის კვლევის ხელმძღვანელები.

სიმპოზიუმის თემატიკა განსაზღვრავდა სექციის მრავალფეროვნებასა და, ამავდროულად, მნიშვნელოვან სახელებს, ძირითადი თემებია კი „იბერიულ-კავსიერობის ენები: სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება“ გახლდათ.

29 ოქტომბერს მრგვალი მაგიდის თემა „კავსიერობის ენათა ფუნქციონირების თანამედროვე პრობლემები“ იყო, რომელსაც ცხარამიძე და მ. მანჯგალაძე უძღვებოდნენ. მეცნიერები აქტიურად ჩაერთვნენ მრგვალი მაგიდის მუშაობაში და თავიანთი მოსაზრებები ამ პრობლემათა გადაჭრის გზების შესახებ ერთმანეთს გაუზიარეს.

სიმპოზიუმმა დიდი როლი შეასრულა არა მარტო სამეცნიერო სახელების წარმოჩენის თვალსაზრისით, არამედ ქართველთა და უცხოელ მეცნიერთა ურთიერთობის განმტკიცების საქმეშიც.

აღსანიშნავია, რომ ლინგვისტ კავსიერობათა III საერთაშორისო სიმპოზიუმზე მონაწილეობის მისაღებად მეცნიერები ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან, რუსეთის ფედერაციიდან და ჩრდილო კავსიერიდან ჩამოვიდნენ. შეხვედრაზე ქეთევან ლომთათიძის განსაკუთრებული სითბოთი იხსენებდნენ მისი ყოფილი სტუდენტები: ისა აბდულაევა — მაჰაჩყალიდან, აისახალიდოვი და ვახა თამაძე — გროზიდან, კოტე ლერერი იერუსალიმიდან. სამუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო ჩრდილო დასავლეთ კავსიერიდან და სოხუმიდან ჩამოსვლა ვერ მოახერხეს ქეთევან ლომთათიძის სხვა აღზრდლებმა.

დიდი კავსიერობის სახლის დედა-ღიასახლისი

სიმპოზიუმის პლენარულ სხდომაზე, რომელიც საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის პერეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ გახსნა, ქეთევან ლომთათიძის მოღვაწეობაზე ისაუბრეს მისმა მოსწავლეებმა და კოლეგებმა: კავსიერობის ფონდის პრეზიდენტმა გიორგი ლამბაძემ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა ლალი ეზუგბაიაძემ, პროფესორებმა: გურა კვარაცხელიამ, ნანა მაჭავარიანამ, ვაჟა შენგელიამ, კავსიერობის ინსტიტუტის თანამშრომელმა თამარ უჯუხუძემ, სამეცნიერო ხარისხის მინისტრის დეპარტამენტის დირექტორმა ბერნარ უტიემ და სხვებმა. პროფესორ ნანა მაჭავარიანის ინფორმაციით, ქეთევან ლომთათიძეს ქართული საენათმეცნიერო სკოლის განვითარებაში,



ქეთევან ლომთათიძე

აფხაზური ენის კვლევისა და სწავლების საქმეში, ქართველურ ენათა შესწავლაში, საზოგადოებრივ-ორგანიზაციულ საქმიანობასა და აფხაზ კოლეგებთან ურთიერთობის მხრივ უდიდესი წვლილი მიუძღვის, რადგან მან მთელი ცხოვრება ქართველი და კავსიერი ხალხების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას მოახმარა. „აღსანიშნავია, რომ სწორედ მეცნიერის თაოსნობით ჩაყარა საფუძველი აფხაზური ენისა და მისი დიალექტების ისტორიულ-შეადრებითი მეთოდის შესწავლას. მან შეძლო სრულად დაენერა აფხაზურ-აბაზურ ენათა ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემა. აფხაზოლოგიაში რამდენიმე მისი აღმოჩენა კი „ლომთათიძის კანონადა“ ცნობილი. მეცნიერები ქეთევან ლომთათიძის დამსახურებად თვლიან იმ ფაქტსაც, რომ დღეს აფხაზურ-აბაზური ენები იბერიულ-კავსიერი ენათა შორის ერთერთ ყველაზე უკეთ შესწავლილ ენებად ითვლება. კავსიერობის დღესაც განსაკუთრებით აღნიშნავენ მეცნიერის მონაწილეობას იბერიულ-კავსიერი ენათა შესახებ გამართულ დისკუსიაში, რომელიც გასული საუკუნის 40-50-იან წლებში, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდული ორგანოს „Вопросы языкознания“-ს ფურცლებზე მიმდინარებდა. ქეთევან ლომთათიძის სადისკუსიო სტატიამ „Некоторые вопросы иберийско-кавказского языкознания“ დიდი გამოხმაურება ჰპოვა — ამ სტატიით ქართველი მეცნიერი იბერიულ-კავსიერი ენათმეცნიერების ღირსეულ მკვლევრად და სწორუპოვარ ქომავად წარმოჩინდა.

თავის ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მან 200-ზე მეტი ნაშრომი გამოაქვეყნა ქართველოლოგიის, კავსიერობისა და ზოგადი ენათმეცნიერების დარგებში. ქეთევან ლომთათიძის შრომები გამოირჩევა საკითხის ფართოდ დანახვის გასაოცარი უნარით, კვლევის სიღრმით, მასალის შედარებით ნიჭიერად დიაგნოზის, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი მონოგრაფიები: „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი“, „აფხაზური ენის დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებს შორის“, „აფხაზური ენა აბაზური ენების ისტორიულ-შეადრებითი ანალიზი. ფონოლოგიური სისტემა და ფონეტიკური პროცესები“ „ლოკალურ პრევერბთა ძირითადი სახეობანი და მათი გაფორმება

აფხაზურსა და აბაზურში“, „კომპლექსთაგან მომდინარე ბილაბიალური ხმოვლები ქართველურ ენებში“, „სონანტთა მეზობლად ხმოვლთა დისიმილაციური გამკვეთება ქართველურ ენებში“, „აბაზური ენა“ და სხვა.

ქეთევან ლომთათიძე ქართული ენის რვატომიანი განმარტებითი ლექსიკონის VII ტომის რედაქტორი იყო, რომლისთვისაც მას და მთელ სარედაქციო კოლექტივს სახელმწიფო პრემია მიენიჭა. იგი, ასევე, ხელმძღვანელობდა რუსულ-ქართული სამტომეული ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიას, ამავე დროს წლების მანძილზე იყო არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის პერიოდული ორგანოს — „იბერიულ-კავსიერი ენათმეცნიერების“ არა ერთი ტომის რედაქტორი, საერთაშორისო სამეცნიერო ორგანოს — „იბერიულ-კავსიერი ენათმეცნიერების წელიწადულის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, შემდგომ — მთავარი რედაქტორი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქეთევან ლომთათიძეს საკანდიდატო და სადოქტორო ნაშრომების მომზადება მეორე მსოფლიო ომის პერიოდში უხდებოდა. მას მასალის მოსაპოვებლად ხშირად უწევდა აფხაზეთსა და ყარაჩაი-ჩერქეზეთში მივლინება, რაც იმ დაძაბულ ვითარებაში მეტად სარისკო იყო. იგი აგროვებდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, პრაქტიკულად ეუფლებოდა შესასწავლ ენას. ქეთევან ლომთათიძემ დიდი დოფასება და სიყვარული მოიპოვა ჩრდილოეთ კავსიერი ხალხებში — აფხაზები და აბაზები დღესაც დიდ პატივს სცემენ თავიანთი ენების მკვლევარს.

1953-1963, 1975-1988 წლებში ქეთევან ლომთათიძე ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორად მუშაობდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავსიერი ენათა კათედრაზე კი მან 60 წელი პროფესორის რანგში გაატარა. მრავალწლიანი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში მან ათობით ნამყვანი სპეციალისტი აღზარდა კავსიერობის დარგში, მათ შორის: აფხაზები, ჩერქეზები, ნახები, დაღესტნელები, ქართველები...

ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით ქეთევან ლომთათიძე ჩაერთო შინამრწველობის ამსახველი ლექსიკონის კვლევაში. იგი იკვლევდა აჭარის შინამრწველობის ლექსიკონს. ივანე ჯავახიშვილის მრავალტომეულის VI ტომი ამ ლექსიკონსაც მოიცავს.

აკადემიკოს ქეთევან ლომთათიძის სამეცნიერო მოღვაწეობაზე, მის რეგალიებზე ბევრი ითქვა... მე დღეს მხოლოდ მივესალმები იმ საზოგადოებას, რომლის მესხიერებაში ქალბატონი ქეთევანი მტვრადქცეული წარსული კი არ არის, არამედ თანამედროვეობა და მომავალი კავსიერობისა... ქალბატონი ქეთევანი მწარედ განიცდიდა აფხაზთა და ქართველთა შორის კანის ცოდვას. მისი სიბრძნე შეძლებდა გამოსავლის პოვნას. იგი მესაჭე იყო კავსიერი მეცნიერებისა და გვიმ ყოველთვის მართებული ჰქონდა; ის მოძღვარი იყო და შეგიძლებდა რჩეულებს ჰპოვებდა; ის ქვემარბი მკვლევარი იყო და სხვასაც გზას უკვალავდა; ის დიდი კავსიერი სახლის დედა-ღიასახლისი იყო და სრულიად კავსიერა იმედად სახავდა; ის ნათელი იყო და ეს ნათელი დღეს ჩვენთან არის“, — ამ სიტყვებით მოიხსენია თსუ-ის კავსიერობის ინსტიტუტის დირექტორმა ცირა ბარამიძემ დიდი მეცნიერი სიმპოზიუმის გახსნაზე.

ჟაკ დერიდას დახადებულან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია

ნათო მგომლაძე

თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ორგანიზებით გამართული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია — „ლინგვისტიკა, ლიტერატურა, დიდაქტიკა — თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები“. ფრანგი ფილოსოფოსის, ლინგვისტისა და ლიტერატურათმცოდნის ჟაკ დერიდას დახადებულან 80 წლისთავს მიეძღვნა და მასში მსოფლიოს 20 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებმა — ფილოსოფოსებმა, ენათმეცნიერებმა და ლიტერატურათმცოდნეებმა მიიღეს მონაწილეობა. მათ მიერ წაკითხული მოხსენებები საინტერესო ნაშრომებად შეფასდა. როგორც თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის

დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორმა, პროფესორმა ქეთევან გაბუნიამ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, კონფერენციის მონაწილეთა მოხსენებები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათი გამოყენება მაგისტრანტებს და დოქტორანტებს სასწავლო პროცესში დამხმარე ლიტერატურის სახით შეეძლებათ.

„ჩვენ სპეციალურად მიუძღვინით ეს სამეცნიერო ღონისძიება ფრანგ ფილოსოფოსს, ლიტერატურათმცოდნესა და ლინგვისტს ჟაკ დერიდას, რათა კონფერენცია ინტერდისციპლინური ხასიათისა და დიდი მასშტაბების ყოფილიყო. შედეგად მოსალოდნელზე კარგი მივიღეთ. მაგალითად: ფილოსოფიის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ მოხსენებებში უზუსტად იყო აღნიშნული დერიდას კავშირი ლინგვისტიკასა და ლიტერატურასთან“, — განაცხადა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორმა, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ქეთევან გაბუნიამ. მისი თქმით, კონფერენცია იმითაც იყო გამორჩეული, რომ დამოუკიდებელი სექციის სახით მუშაობდა იბერიულ-კავსიერი ენათმეცნიერების სექცია, სადაც წარმოდგენილი იყო ცირა ბარამიძის, მანანა კვაჭაძის, ნინო რუხაძის, ელვირა ასლანოვას საინტერესო მოხსენებები.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა და 29 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასრულდა. გახსნის ცერემონიას თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და საქართველოში საფრანგეთის საელჩოს მრჩეველი კულტურის

დარგში ყოველ კარასო ესწრებოდნენ.

მნიშვნელოვანია, რომ უკვე გამოცა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებების შემოკლებული ვერსიების ქართულ-ფრანგული კრებული. უახლოეს მომავალში კი ერთ წიგნად ნაშრომების სრული ვარიანტიც გამოიცემა.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის საზეიმო გახსნაზე საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ცნობილი მთარგმნელის, გიორგი ეკუაშვილის ახალი თარგმანების წარდგენაც მოეწყო: ა. კამიუს „ზაფხული“, „ქორწინება“, „რეჟენციის მონაზონისთვის“ და ანტუან დე სენ-ეგვიუპერის „პატარა პრინცი“. ასევე გამოიფინა თსუ-ის რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორების მიერ შობლი 3-4 წელიწადში შექმნილი სამეცნიერო კვლევები და ქართულენოვანი სახელმძღვანელოები.



სასწავლო-სავიწრო პრაქტიკები გეოლოგიის

თამარ ლალიანი

2011 წლის ზაფხულში თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტები სასწავლო-სავიწრო გეოლოგიურ პრაქტიკას გადიოდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში სილაბუსით გათვალისწინებულ მარშრუტებზე: გრაკალი-ხეკორძულას ხეობის, ბორჯომ-ბაკურიანი-ცხრანყარო-ტაბანყურის, კახეთ-დმანისის, ჭიათურა-საჩხერის, ტყიბულ-ნაქერალას უღელტეხილის, ტყიბული-გელათის, ჟინვალ-ანანურის, ფასანაური-ჯვრის უღელტეხილის, სტეფანწმინდა-დარიალის ხეობის ტერიტორიაზე.

ეს რეგიონები მრავალფეროვანი გეოლოგიური აგებულებით გამოირჩევა. აქ განვითარებული პალეოზოური, მეზოზოური, ვულკანოგენური და კაინოზოური დროის დანალექები, მაგმური და მეტამორფული წარმონაქმნების გამოვლენები უშუალო დაკვირვების საშუალებას იძლევა და, ამდენად, სასწავლო-სავიწრო პრაქტიკის გასავლელად ხელსაყერ პირობებს ქმნის. პრაქტიკის მთავარ ამოცანას ისტორიულ გეოლოგიასა და მინერალოგიაში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება წარმოადგენდა.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის 15 სტუდენტი რეგიონების მიხედვით გაეცნო მდინეულ და ქანაშენ მინერალებს, სტრატეგოგრაფიული კომპლექსების შედგენილობას, აგებულებას და წლის

ფორმებს. ისინი, ასევე, მონაწილეობდნენ გეოლოგიური ჭრილების, ჩანახატებისა და ჩანაწერების შედგენაშიც.

სტუდენტებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბუნებისმეტყველო ვულკანურ ზეგანზე, კერძოდ, სამსარის ქედზე ხაზობრივად განლაგებულმა ვულკანურმა კონუსებმა და მასთან დაკავშირებულმა ლავურმა ნაკადებმა. ბორჯომ-ბაკურიანისა და ყაზბეგის ვულკანური რეგიონის შესწავლით სტუდენტებს გარკვეული წარმოდგენა შეეძინათ მეოთხეული მაგმარიზმის შესახებ, ასევე დიდი ინტერესით გაეცნენ ისინი ძვირფასი სამწებლო ქვების – კურსების (ტყიბულის რაიონი) ტექნიკების გეოლოგიას, მინერალოგიურ შედგენილობას, წარმოშობის პირობებს, მათი მოპოვებისა და დამუშავების ტექნოლოგიას.

მდინეულის სპილენძ-პოლიმეტალური საბადოს სპეციალისტებმა სტუდენტებს დეტალურად გააცნეს ამ საბადოში მოპოვებული მინერალები, მათი გეოლოგიური აგებულება, დამუშავებისა და გადამამუშავების ტექნოლოგიები.

პრაქტიკის მონაწილეებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა პატარა დმანისში „მზიასა“ და „ზევას“ ადგილსამყოფელის მონახულებამ. სტუდენტები ადგილზე გაეცნენ ამ ტერიტორიის გეოლოგიას და ტბიურ ნალექებში მოპოვებულ მდიდარ პალეონტოლოგიურ მასალას, ხოლო ტყიბულ-ნაქერალას უღელტეხილის ჭრილის აღწერილ სასტუდენტებმა რეგიონის სტრატეგოგრაფია

და ქვანახშირის საბადოს წარმოშობის პირობები შეისწავლეს.

„ჭიათურის მარგანეცის საბადოს ხელმძღვანელობამ საშუალება მოგვცა, მადაროს 600 მეტრის სიღრმის შტოლნაში, უშუალოდ გავცნობოდი საბადოს მინერალოგიას და მოპოვების ტექნოლოგიურ პროცესებს, მარგანეცის საბადოს სტრატეგოგრაფიას და წარმოშობის პირობებს. ის, რაც აქამდე მხოლოდ თეორიულად ვიცოდი, პრაქტიკით განვიმტკიცეთ, რაც პროფესიული დოკუმენტების მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია,“ — განაცხადა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტმა ნინო ლანჩავაძემ.

სტუდენტები მთელი სასწავლო-სავიწრო პრაქტიკის განმავლობაში აკვირვდებოდნენ აკუმულაციის, ეროზიის და დენუდაციის პროცესებს; აგრძელებდნენ მინერალთა და ქანთა ნიმუშებს მინერალოგიის სასწავლო მუზეუმის კოლექციის შესავსებად.

„გეოლოგია ძალიან საინტერესო საგანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით და მეცნიერული მუშაობისა თუ კვლევის დიდ ასპარეზს გვთავაზობს. საქართველო მდიდარია ბუნებრივი წიაღისეულებით და მის გეოლოგიურ კვლევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით“, — აღნიშნა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტმა გიორგი ზაქაიძემ.

სასწავლო-სავიწრო პრაქტიკის ორგანიზატორები იყვნენ გეოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი ბეჟან თუთბერიძე და ასოცირებული პროფესორი გურამ ღონღაძე. პრაქტიკის პერიოდში სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ ტრანსპორტით, ბინით და დღიური ანაზღაურებით.

„ეს ექსპედიცია მნიშვნელოვანი იყო პროფესიული დოკუმენტების თვალსაზრისით. თეორიული ცოდნა პრაქტიკული უნარ-ჩვევების შექმნით გავირთვეთ. ექსპედიციის ხელმძღვანელები ცდილობდნენ — გეოლოგიური კვლევის თავისებურებასა და მნიშვნელოვან დეტალებს ადგილზე გავცნობოდი. ჩვენთვის პრაქტიკა იყო როგორც პროფესიული ცოდნისა და სავიწრო პირობებში კოლექტიური მუშაობის უნარ-ჩვევების გამოუმუშავება, ასევე, ერთმანეთთან დამეგობრების ერთერთი მთავარი ფაქტორი, რამაც პროფესიის არჩევის სისწორეში დაგვარწმუნა. პირადად ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კაჭრეთის კვარცხის საბადოს მონახულებამ, სადაც სპეციალისტებმა ოქრის მიღების ტექნოლოგიის ზოგიერთი წესი გაგვაცნეს“, — აღნიშნა პრაქტიკის მონაწილემ დავით კოსტავამ.

სასწავლო-სავიწრო პრაქტიკის ხელმძღვანელების აზრით, ასეთი სახის სასწავლო პრაქტიკები გეოლოგიის პროფესიული ზრდისა და გეოლოგიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების აუცილებელი ნიშანია და მალაღონის სპეციალისტების აღზრდის უწყობს ხელს.



ინტეგრაცია უმტკივნეულოდ

მესამე გვერდიდან

ჰაერის ტემპერატურის, ატმოსფერული ნალექების და სხვა ცვლილებების ზოგიერთ კანონზომიერებას. ისინი, ასევე, იკვლევდნენ მრავალნაირი ნორმიდან ამ ელემენტების ანომალური გადახრების სიხშირეს, ადგენენ ამპლიტუდებს და ადარებენ როგორც ატმოსფეროს ცირკულაციურ პროცესებთან, ასევე, მზის აქტივობასთან. მიღებული პროგნოზის დანიშნულებაა შეარბილოს (უკეთეს შემთხვევაში თავიდან აგვაცილოს) ჰიდრომეტეოროლოგიური სახის რისკ-ფაქტორების ნეგატიური ზემოქმედება მოსახლეობასა და ეკოსისტემებზე.

5) საქართველოს წყლის რესურსების მონიტორინგი და მართვა — ამ კუთხით გეოგრაფიის ინსტიტუტში იქმნება ყველა სახის წყლის რესურსის რაოდენობრივი მახასიათებლების მონაცემთა ბაზა. ეს მათ საშუალებას აძლევთ უკეთ დაიგეგმოს ტერიტორიის და მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფა, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში.

6) საქართველოს ბუნებრივი და ანთროპოგენური პროცესების ზეგავლენით შეცვლილი ლანდშაფტების ტრანსფორმაცია და დინამიკა — მეცნიერები სწავლობენ ცალკეული რეგიონების ბუნებრივ გარემოს. დგება მსხვილ-მასშტაბიანი ლანდშაფტური და ბუნებათსარგებლობის რუკები.

7) შავი ზღვის სანაპირო ზოლის მორფო და ლითოდინამიკური პროცესების შესწავლა — ეს მიმართულება ითვალისწინებს შავი ზღვის სანაპირო ზოლის (ფოთი, ყულევი, ბათუმი) მორფოლოგიის კვლევას, რაც საჭიროა შავი ზღვის სანაპირო ზოლის გეოეკოლოგიური მდგომარეობის შეფასებისთვის. მუშავდება რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ანთროპოგენური უარყოფითი პროცესების შეწყვეტას.

8) საქართველოს მოსახლეობისა და მეურ-

ნეობის თანამედროვე ტერიტორიული ორგანიზაციის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-გეოგრაფიული ანალიზი — ამ კუთხით კვლევების შედეგად გამოვლინდება ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების განვითარების სხვადასხვა ფაქტორი; დადგინდება ტურისტული ობიექტების სივრცითი ათვისების ტენდენციები და შეიქმნება ტურისტული ატლასი.

9) გეოგრაფიული რუკებისა და ატლასების შედგენა, რაც გულისხმობს გეოგრაფიული და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სისტემატიზაციას და შესაბამის მონაცემთა ბანკის შექმნას. ინსტიტუტში ზუსტდება გეოგრაფიული სახელწოდებები, რელიეფისა და სხვა ობიექტების სიმბოლოები, ბუნებრივი და ანთროპოგენური პროცესების ზემოქმედებით სახეცვლილი არეალები, ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონების საზღვრები. მონაცემთა ბაზებზე დაყრდნობით შეიქმნება საქართველოსა და მისი ცალკეული რეგიონების სხვადასხვა მასშტაბისა და შინაარსის ზოგადი და თემატური რუკები და ატლასები.

სამეცნიერო გრანტები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეერთებამდე ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტში რამდენიმე გრანტი დასრულდა. კერძოდ, გრანტის ფარგლებში შედგა საქართველოს ნაციონალური ატლასი, რომელიც წარმოადგენს სამეცნიერო-საცნობარო ხასიათის კომპლექსურ კარტოგრაფიულ გამოცემას. ატლასში მოთავსებულია 160 რუკა, დიაგრამები, ფოტოები, მოცემულია თემატური რუკების განმარტებითი ტექსტი (30 გვერდის მოცულობით).

გრანტის ფარგლებში გაკეთდა პროექტი:

„წყალტუბოს (ყუმისთავის) მღვიმური სისტემისა და მიმდებარე სუბელობიექტების კვლევა და მათი სამეურნეო ათვისების პერსპექტივები“. ამ პროექტის თემატიკასთან დაკავშირებით შესწავლილი და განზოგადებულია 40-ზე მეტი კარსტული ჭის, მღვიმის, მუდმივი თუ დროებითი კარსტული ნაკადის, რთული მინისქვეშა სიფონური მონაკვეთების და სხვა გამოკვლევის შედეგები.

ინსტიტუტი დღესაც აქტიურადაა დაკავებული სამეცნიერო პროექტების განხორციელებით. კერძოდ, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 3 პროექტზე: 1. „მყინვარ ზოფხიტოს მასის ბალანსის მონიტორინგი (2009-2011 წ.წ.)“ (2009-2010 წელს მყინვარ ზოფხიტოზე სრულდებოდა INTAS-ის გრანტით (2006-2008 წ.წ.) დაწყებული კომპლექსური დაკვირვებები, რის შემდეგაც მოხდა მოპოვებული მასალების დამუშავება. ახალ პროექტში თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით დამუშავებულია სამგანზომილებიანი მოდელები, გამოკვლეულია მყინვარის სივრცე-დროითი ცვალებადობის პარამეტრები). 2. „ახეთის მხარის გეოეკოლოგიური მდგომარეობა და მისი გაჯანსაღების გზები (2009-2011 წ.წ.)“ (პროექტის ფარგლებში შეგროვდა ლიტერატურული, კარტოგრაფიული, საფონდო და საილუსტრაციო მასალები. 2009-2010 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე ჩატარდა სავიწრო ექსპედიციები კახეთში, სადაც მოიპოვეს მდიდარი ფოტო და ვიდეო მასალა. გადაღებულია სამეცნიერო დოკუმენტური ფილმი). 3. „ქვემო ქართლისა და ჯავახეთის ბუნებრივი-ტერიტორიული პოტენციალი: შეფასება და გამოყენების პერსპექტივა (2009-2011)“; (მოპოვებულია მდიდარი ფოტო და ვიდეო მასალა. გადაღებულია სამეცნიერო დოკუმენტური ფილმი).

უნივერსიტეტთან ერთად

გეოგრაფია არის მეცნიერება, რომელიც, ქართულ ენასთან და ქართულ ისტორიოგრაფიასთან ერთად, ქვეყნისათვის პრიორიტეტულ დარგად უნდა იქცეს. ამიტომ ინსტიტუტის დირექციას და სამეცნიერო საბჭოს მიაჩნია, რომ მისი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიაღში გადმოსვლა მეტად შეუწყობს ხელს ამ მართლაც მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას.

ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის ნანა ბოლთაძის თქმით, უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო პროცესში ინტეგრაცია თავისთავად უნდა გულისხმობდეს ინსტიტუტის თანამშრომელთა ჩართვას სასწავლო პროცესში, რათა ის გამოცდილება და კვალიფიკაცია, რომელიც ამ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს აქვთ, გამოიყენონ მაღალკვალიფიციური კადრების აღსაზრდელად.

„ჯერჯერობით ჩვენი ჩართულობა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ჩვენი რამდენიმე თანამშრომელი უნივერსიტეტის დოქტორანტი გახდა. მომავალში, ალბათ, იმის საშუალებაც იქნება, რომ შეიქმნას ახალი სასწავლო პროგრამები, მოვიპოვოთ სამეცნიერო გრანტები და მათ განხორციელებაში ჩავეერთო სტუდენტები, როგორც ეს შეერთებამდე იყო. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებასაც და სამეცნიერო კადრების გაახალგაზრდავებასაც. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამის იმედი გვაქვს,“ — განაცხადა ნანა ბოლთაძემ.

სამეცნიერო ინსტიტუტები ახალ გარემოს თანდათან ეწყვიან. მათი ახალი სტატუსი მოითხოვს შემოქმედებითობას და სიახლეების დანერგვას. კიდევ ერთი წლის შემდეგ მათ უკვე ექნებათ სათქმელი — რა დადებითი შედეგი მოიტანა უნივერსიტეტთან შეერთებამ და როგორ ჩაერთვნენ ისინი სამეცნიერო თუ სასწავლო პროცესში.

საქართველო

ქართველ დოქტორანტთა წარმატებული პრეზენტაცია

ბელგიის ქალაქ სენეფის ევროპულ კოლეჯში თსუ-სა და ბოლონიის უნივერსიტეტების ერთობლივი საერთაშორისო პროგრამის „ევროპული ლიტერატურა“ (DESE) ფარგლებში ყოველწლიური სავალდებულო სემინარი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტები: მაია ბენიძე, ხატია ცირგაია, თეა თათეშვილი, თამარ საქუაშვილი და მათი სამეცნიერო ხელმძღვანელი, ფილოლოგიის დოქტორი მედეა კინწურაშვილი.

ქართველ დოქტორანტებს საკმაოდ რთული სამუშაოს შესრულება მოუწიათ. დისერტაციის საკვლევითი თემატიკა გახლდათ — „ბიბლია ევროპულ ლიტერატურაში“, რასაც მათ წარმატებით გაართვეს თავი და მაღალი შეფასებაც დაიმსახურეს. დოქტორანტები ქალაქ სენეფში გატარებულ დღეებს სიამოვნებით იხსენებენ და ერთობლივი საერთაშორისო პროგრამის მნიშვნელობაზე საუბრობენ.

შურთხია გაროშვილი

„ჩვენთვის ძალიან საპასუხისმგებლო იყო ამ სემინარში მონაწილეობა, DESE-ს სამეცნიერო საბჭოს წინაშე თითოეულმა ჩვენგანმა დისერტაციის საკვლევითი თემატიკა — „ბიბლია ევროპულ ლიტერატურაში“ წარმოვადგინეთ. თემების მომზადებაში ჩვენი სამეცნიერო თემების ხელმძღვანელი მედეა კინწურაშვილი დაგვეხმარა“, — აღნიშნა მაია ბენიძემ.

ხატია ცირგაიას ინფორმაციით, DESE-ს სამეცნიერო საბჭო შედგება იტალიის, საფრანგეთისა და კონსორციუმში შემავალი ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტის პროფესორებისგან და, ამდენად, მათ წინაშე მოხსენებების წაკითხვა მეტად საპასუხის-

მგებლო საქმე იყო. „სიამაყით გვინდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოს წევრი ჩვენი სადისერტაციო თემების ხელმძღვანელი მედეა კინწურაშვილიც გახლდათ. ჩვენ წარმოვადგინეთ თემების პრეზენტაცია და სადისერტაციო თემის გეგმა, რის შემდეგაც დისკუსია გაიმართა. სემინარზე ჩვენთან ერთად მოხსენებებით წარსდგნენ DESE-ს სადოქტორო პროგრამის ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტების დოქტორანტებიც, რომლებიც, ასევე, მუშაობენ ბიბლიის თემატიკაზე ევროპულ ლიტერატურაში“, — აღნიშნა საუბარში თეა თათეშვილმა.

დოქტორანტების წარმატებაზე საუბრობს მათი სამეცნიერო ხელმძღვანელი მედეა კინწურაშვილიც, რომელიც სიამაყით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სემინარზე ქართ-



ველმა სტუდენტებმა თავი ისახელებს და მათ მიერ წარმოდგენილი მოხსენებების სამეცნიერო დონე შეურის მონონება დაიმსახურა, მათ შორის, მაია ბენიძემ ყველაზე მაღალი ქულა მოიპოვა და პირველი ადგილზე გავიდა, თეა თათეშვილი და ხატია ცირგაია კი ქულების მიხედვით პირველ ხუთეულში მოხვდნენ.

DESE-ს სასწავლო გეგმის თანახმად, გარდა ზემოთ აღნიშნული სავალდებულო სემინარებისა, მიმდინარე სასწავლო წელს გათვალისწინებულია კიდევ ორი მოხსენების მომზადება: „ხელნაწილები და ლიტერატურა“ და „ინფორმაცია და ლიტერატურა“. მედეა კინწურაშ-

ვილს იმედი აქვს, რომ დოქტორანტები ამ დავალებასაც ღირსეულად გაართმევენ თავს. „ამ სემინარზე ჩვენ უზარმაზარი გამოცდილება შევიძინეთ, ამასთან, დავუმეგობრდით სხვადასხვა ციკლის დოქტორანტებს, რომელთაც ვაგრძელებთ მეგობრობასა და მიმოწერას“, — ამბობს თეა თათეშვილი.

მედეა კინწურაშვილის ინფორმაციით, ბოლონიის უნივერსიტეტმა ხელი მოაწერა ქართველი დოქტორანტების თანახმად მდგომარეობის ხელშეკრულებას, რაც დოქტორანტებისთვის საუკეთესო საშუალებაა — სტაჟირება გაიარონ ბოლონიის უნივერსიტეტში და მიიღონ დოქტორის ორმაგი ხარისხი.

„თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ერთობლივი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა — „ევროპული ლიტერატურა“ ბოლონიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება, რითაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უერთდება რამდენიმე ევროპული უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებულ საერთაშორისო ქსელს (DESE)-ს. დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებს საშუალება ეძლევათ, სტუდენტთა საერთაშორისო მოძიების ფარგლებში, სწავლის გარკვეული ნაწილი გაატარონ ბოლონიის უნივერსიტეტში, რის

შემდეგაც მათ პარალელურად მიენიჭებათ ბოლონიის უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხი. სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს ევროკავშირში შემავალი ქვეყნების ლიტერატურის კვლევას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა კულტურისა და ცივილიზაციის ლიტერატურული ნაწარმოების კვლევას ფრანგულ ენაზე“, — განაცხადა ჩვენთან საუბარში მედეა კინწურაშვილი.

ბელგიაში გამგზავრება გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ სტუდენტები და სადოქტორო თემების ხელმძღვანელი მედეა კინწურაშვილი დახმარებისა და ხელშეწყობისათვის მადლობას უხდებიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ალექსანდრე კვიციანიას, ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორს ანა სონინის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს დარეჯან თვალთვაძეს და პროგრამის — „ევროპული ლიტერატურის“ კოორდინატორს, ასოცირებულ პროფესორს რომ დარჩაიას, რომლებმაც დოქტორანტების გამგზავრება უზრუნველყვეს და, ზოგადად, დიდი წვლილი შეიტანეს ამ საერთაშორისო პროგრამის წარმატებით განხორციელებაში.

„საბავშვო უნივერსიტეტი“

ღია კარის დღე თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში

ღია კარის დღე თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში (პირველი სკოლა) არატრადიციულ ფორმატში გაიმართა. თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიციანიანი, „საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორი მარინა ლომოური და პროფესორ-მასწავლებლები თბილისის კლასიკურ გიმნაზიის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს შეხვდნენ. რა ხდება პირველი უნივერსიტეტის კედლებს შიგნით? რა სასწავლო პროგრამები მოქმედებს? რა საერთაშორისო კავშირები აქვს თსუ-ს და რა არის უნივერსიტეტის ძირითადი იდეა? — სწორედ ამ საკითხების შესახებ მინათვას ინფორმაცია საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენლებმა მომავალ სტუდენტებს.



მარინა ლომოურმა მოსწავლეებს აუხსნა, რომ უნივერსიტეტს სასწავლო-სამეცნიერო ფუნქციის გარდა, აღმზრდელი და აღზრდა-საზრუნველ ფუნქციებიც აქვს, რაც ახალგაზრდების პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში დიდ როლს თამაშობს. თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში გამართულ ღია კარის დღეზე თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებმა მოსწავლეებს თითოეულ ფაკულტეტზე არსებული ვითარება გააცნეს. პრეზენტაციებმა მომავალი აბიტურიენტების მონონება დაიმსახურა, თუმცა, როგორც გაირკვა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარებას მათი უმეტესობა უკვე დიდი ხანია გეგმავდა. „ყველა ჩვენთაგანის ოცნებაა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხვდეს, რადგან ვიცით, რომ იქ სწავლების მაღალი დონეა“, — გვითხრა მე-12 კლასის მოსწავლემ ნაზი ლატურიაძემ.

ნატო მოვლავაძე

„საბავშვო უნივერსიტეტის ფარგლებში ჩვენ, ძირითადად, მაღალი კლასების მოსწავლეებთან გვაქვს ურთიერთობა. ამ პროექტის საშუალებით გვინდა, უნივერსიტეტის იდეას გავუწიოთ მოპულარობაცა და მოსწავლეებში მეცნიერებისადმი ინტერესი გავაძლიეროთ. კლასიკურ გიმნაზიაში გამართულ ღია კარის დღეზე ჩვენმა პროფესორებმა ძალიან საინტერესო პრეზენტაციები წარმოადგინეს“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიციანიანმა.

„ღია კარის დღის ასეთ ფორმატში გამართვა მნიშვნელოვანია ნებისმიერი სკოლისთვის. დღეს საქართველოში უამრავი უმაღლესი სასწავლებელია გახსნილი, მაგრამ ყველგან არ არის სწავლების ისეთი მაღალი დონე, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშია. ამის ცოდნა სამომავლოდ სწავლის გასაგრძელებლად ჩვენი მოსწავლეებისათვის აუცილებელია“, — აღნიშნა თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორმა ამირან ჯამაგიძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედ სასწავლო პროგრამებსა და სამეცნიერო-კვლევითი გარემოს შესახებ ინფორმაციის გაცნობის გარდა, ღია კარის დღეზე აბიტურიენტებმა უნივერსიტეტის დანიშნულებისა და მისი ძირითადი იდეის გარშემო თბილის სიტყვიერ მოსმინეს. თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორმა

თამბაქოს სანიტარულ დეპო აქცია №161-ე საჯარო სკოლაში

ნატო მოვლავაძე

თამბაქოს მავნელობაზე არაერთი სტატია თუ სატელევიზიო გადაცემა მომზადებულია, პერიოდულად ტარდება თამბაქოს სანიტარულ დეპო სხვადასხვა სახის აქციები თუ ღონისძიებები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოში მწველთა რაოდენობა მაინც დიდია. ადამიანები სიგარეტის მოწვევას, ძირითადად, სკოლის ასაკიდან იწყებენ და ამ მავნე ჩვევას მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ ან არ ცვნიან. პრობლემა აქტუალურია და მის მოსაგვარებლად საზოგადოების გარკვეული ნაწილი ინტენსიურ მუშაობასაც ახორციელებს. ამ პროცესში ჩართულნი არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები და „საბავშვო უნივერსიტეტი“.



22 ნოემბერს თბილისის №161-ე საჯარო სკოლაში, რომელთანაც თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტი“ ურთიერთთანამშრომლობის მეგობრანდუმი აქვს გაფორმებული, თამბაქოს სანიტარულ დეპო ღონისძიება მოეწყო სახელმწიფო — „მომავალი თამბაქოს გარეშე“. მეშვიდე კლასის მოსწავლეებთან შეხვედრის მიზანს თამბაქოს მავნელობის შესახებ სკოლის მოსწავლეთა ინფორმირებულობა წარმოადგენდა. ღონისძიება თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის მეექვსე კურსის სტუდენტებმა ჩაატარეს თსუ-ის რექტორის მრჩევლის მარინა ლომოურისა და უნივერსიტეტის პროფესორისა და ლობჟანიძის ხელმძღვანელობით.

თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა, რომლებიც ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის წევრებიც არიან, მე-7 კლასის მოსწავლეებს თამბაქოს მავნელობის შესახებ ლექცია წაუკითხეს. თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტებმა თამარ ნაროუშვილმა, ლელა დუფრაშვილმა, გიორგი რაქვიაშვილმა, თორნიკე ცვილდანიამ და ნინო მალარაძემ ბავშვებს დანერგულებით მიაწოდეს ინფორმაცია: თუ რა დავალებებს იწვევს თამბაქოს მოხმარება; რა საფრთხის წინაშე დგებიან „პასიური მწველები“; როგორ აისახება სიგარეტი გარეგნობასა თუ გონებაზე; ვინ სარგებლობს თამბაქოს გაყიდვით და ა.შ.

„ჯანმრთელი ცხოვრების სტილის პროპაგანდა მეტად მნიშვნელოვანია. რაც უფრო ადრე და გაცნობიერებუ-

ლად ეცოდინებათ სტუდენტებს, რას ნიშნავს ჯანმრთელობა და რა საფრთხის წინაშე დგავართ თამბაქოს მოხმარების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, უკეთესია“, — განაცხადა თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ კოორდინატორმა მარინა ლომოურმა.

პროექტის „მსოფლიო თამბაქოს გარეშე“ აპრობირება ევროპაში რამდენიმე წლის წინ დაიწყო და დღემდე წარმატებით მიმდინარეობს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ბოლო 5 წლის მანძილზე, სკოლებში მწველების რაოდენობა 60-65%-ით შემცირდა.

„თამბაქოს სანიტარულ დეპო საავტორო ღონისძიებები ტარდება მე-5 — მე-12 კლასების მოსწავლეებისთვის. ჩვენ ეს პროექტი გასული წლის გაზაფხულზე შევიწყობავთ და მისი პილოტირება უკვე ორ სკოლაში განხორციელებულია. ახლა ამ მიმართულებით მუშაობას იმ სკოლებში ვაგრძელებთ, რომელთანაც თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტი“ დამოუკიდებელია. ვგეგმავთ, რომ თამბაქოს სანიტარულ დეპო ღონისძიებები თბილისის გარდა, რეგიონის სკოლებშიც გავმართოთ“, — განაცხადა მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა, საქართველოს ექიმთა ასოციაციის თავმჯდომარემ გია ლობჟანიძემ.

ლექცია თამბაქოს მავნელობის

შესახებ სპეციალური პრეზენტაციის თანხლებით მიმდინარეობდა. მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ ენახათ მონვეის შედეგად დაზიანებული ადამიანის ფოტოები, ორგანოები, გარეგნობა... პრეზენტაციის დასრულების შემდეგ სასწავლო ოთახში მყოფი ყველა ბავშვი ერთხმად აცხადებდა, რომ თამბაქოს არასდროს მოწყვდა.

საქართველოში თამბაქოს მოხმარება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთერთ პრობლემას წარმოადგენს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დღეს თამბაქოს ეწევა ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით, 37-40%. მამაკაცებს შორის მწვევლა 50-65%, ხოლო ქალებს შორის — 16-22%. აღსანიშნავია, რომ მწვევლ ქალთა რაოდენობა თანდათან იზრდება. სამწუხაროდ, სკოლის მოსწავლეების 22,1% მწვევლია. ამ მონაცემების გათვალისწინებით კიდევ უფრო ცხადია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის წევრების, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების მიერ თამბაქოს სანიტარულ დეპო აქცია საჯარო სკოლებში, მით უფრო, რომ ასეთი სახის პროექტების განხორციელებამ დასავლეთ ევროპაში შედეგი გამოიღო და მწვევლთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.



ეკონომიკის ფაკულტეტი

ბიბლიოთეკის შთაბეჭდავი წიგნადი ფონდით სტუდენტები კმაყოფილნი არიან

პირველი გვერდიდან

თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი ბეკა ლილუაშვილი ბიბლიოთეკის აქტიური მომხმარებელია და კმაყოფილია არა მარტო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით, არამედ მომსახურე პერსონალის კეთილგანწყობითაც. „არ მქონია შემთხვევა, რომელიმე წიგნი დამჭირებოდა და ის ბიბლიოთეკაში არ მომეძია. ბიბლიოთეკის კომფორტული გარემო ცოდნის გაღრმავებისათვის საუკეთესო ადგილია და აქ მეცადინეობა ძალიან მიყვარს. ასევე შთაბეჭდავია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდიც, რომელიც ფართო განათლების შესაძლებლობას იძლევა“, — აღნიშნა მან, როცა დაინტერესდით, რამდენად ხშირად სარგებლობდა ფაკულტეტის ბიბლიოთეკით.

IV კურსის სტუდენტმა ნათია მინდიაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ბიბლიოთეკის მომსახურების დრო რამდენიმე საათით გახანგრძლივდეს, რათა სტუდენტს მეცადინეობისთვის მეტი დრო ჰქონდეს: „ეს ბიბლიოთეკა ჩემი მეორე სახლია, დღის უმეტეს ნაწილს აქ ვატარებ. ისეთი საინტერესო ლიტერატურაა თავმოყრილი, რომ უკეთეს ვერ იმატრებ. დიდი მადლობა ფაკულტეტის ხელმძღვანელობას ასეთი საჩუქრისათვის“, — განაცხადა მან.

არცთუ დიდი ხნის წინ, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა განთავსებული იყო ერთ-ერთ სასწავლო აუდიტორიაში, სადაც არა თუ მეცადინეობა, არამედ ლექციის ჩატარებაც კი სტუდენტებს უხერხულობას უქმნიდა. დღეს ბიბლიოთეკა მათი საყვარელი ადგილია.

„სასიხარულოა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა ყოველთვის სავსეა მოტივირებული სტუდენტებით. ბიბლიოთეკა ნამდვილად არ განიცდის სასწავლო ლიტერატურის დეფიციტს, რითაც სტუდენტის ყველა მოთხოვნას ვაკმაყოფილებთ. თუ სტუდენტს სწავლა უნდა, ბიბლიოთეკა ყველა პირობას ქმნის — გაეცნონ მსოფლიოში აპრობირებულ უახლეს



სასწავლო და დამხმარე ლიტერატურას“, — განაცხადა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა თამარ ბაგრატიონმა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გასამდიდრებლად ზრუნვა 2009 წლიდან დაიწყო. უკვე 2010 წლისთვის ბიბლიოთეკის ფონდი უცხოენოვანი უახლესი სასწავლო და დამხმარე ლიტერატურით შეივსო. ბიბლიოთეკაში განთავსებული წიგნადი ფონდის დიდი ნაწილი უცხოენოვანი ლიტერატურაა. მისი ფართი საშუალებას იძლევა წიგნების რაოდენობა კიდევ გაიზარდოს. „ამჯერად აქცენტი უახლეს ქართულ გამოცემებზე შევაჩერეთ. ფაკულტეტის პროფესორამ უსასყიდლოდ გადმოგვცა მათი ავტორობით გამოცემული წიგნები, რითაც ბიბლიოთეკა კიდევ უფრო გამდიდრდა“, — განაცხადა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა ელენე ხარაბაძემ.

2006 წლიდან დაიწყო სასწავლო პროგრამების დახვეწა და ოპტიმიზაცია. მომზად-

და და გამოცა რამდენიმე ახალი სახელმძღვანელო, რომელთაგან თითქმის ყველამ ამ ბიბლიოთეკაში დაიდო ბინა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი კიდევ უფრო გაამდიდრა გერმანიის განვითარების აკადემიამ, რომელმაც 2010 წელს ბიბლიოთეკას 6000 ევროს ღირებულების ლიტერატურა გადმოსცა. ფაკულტეტის ადმინისტრაცია გეგმავს დამატებით 200 წიგნის შესყიდვას, რომელშიც უახლესი რუსულენოვანი გამოცემებიც შედის. „ჩვენ ინიციატივას ვაქცევი სტუდენტები სახელმძღვანელოების დეფიციტს ნამდვილად არ განიცდიან. გვაქვს ელექტრონული წიგნების გარკვეული რაოდენობაც, ბიბლიოთეკაში განთავსებულია 10 კომპიუტერი, რომელიც ჩართულია ინტერნეტში და სტუდენტებს საშუალება აქვთ ამ წიგნებით ისარგებლონ, ელექტრონული ლექციები მოისმინონ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მათ არ უხდებათ სასწავლო კორპუსიდან გასვლა და საჭირო ლიტერატურის მოძიება. იმის

გამო, რომ თითოეული გამოცემის ბევრი ეგზემპლარი არ გვაქვს, ბიბლიოთეკიდან მათი გატანა ჯერჯერობით შეზღუდულია, თუმცა გაგვანია სხვადასხვა ტექნიკური საშუალება (მაგალითად: სკანერი, ქსეროქსი), რითაც სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს და მოთხოვნა დაიკმაყოფილოს“, — განაცხადა ელენე ხარაბაძემ.

ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, დაახლოებით, 4000 საბიბლიოთეკო დოკუმენტს იტევს, რომელიც ახლო მომავალში კვლავ შეივსება. თსუ-ის შესყიდვების სამსახურისთვის უკვე გადაცემულია საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი. ფონდის გამდიდრებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის „ქართუ ჯგუფის“ ხელმძღვანელობას, ასევე, ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, გერმანიის განვითარების აკადემიას, თსუ-ის პროფესურას და ფაკულტეტის პროფესორის პირად შემოსულობასაც.

მომზადეს,
თამარ ღაღინაძე, მაია ტორაძე

წიგნის თარო

„ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო“ ერთ კრებულში

ნათო ოზოლაძე

თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტთან არსებულმა საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტმა კიდევ ერთი სტატიათა კრებული გამოსცა. კრებული — „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო“ თსუ-ის პროფესორის კონსტანტინე კორკელიას რედაქტორობითა და გერმანიის საერთაშორისო საზოგადოების ფინანსური მხარდაჭერით დაიბეჭდა. სტატიათა კრებულში 16 ავტორის მიერ დანერგული ნაშრომია შესული, მათ შორისაა — მაია ბითაძის „ეკონომიკური უფლებების დაცვის ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები“; გიორგი ბურჯანაძის „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტის დასაბუთება: ევროპულ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა“; გაგა გაბრიჩიძის „დებულებები ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კავშირის საკანონმდებლო“; ნონა გელაშვილის „დისკრიმინაცია საქართველოსა და ევროკავშირის შრომის სამართალში: შრომითი ხელშეკრულების მომლა“; ლევან კასრაძის „სახელმწიფო მინიმალური ვალდებულება და „გონივრული საფუძვლის“ პრინციპი დასაქმებუ-

ლის სამუშაოდან გათავისუფლების საქმეში: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტი“; ნათია კაციტაძის „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება საქართველოში — კლაუს და იური კლაძეები საქართველოს წინააღმდეგ“; ირაკლი კობახიძის „დედათა ძირითადი უფლებების დაცვის პრობლემა საქართველოს შრომის სამართალში“; ვახუშტი მენაბდე „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები — უნივერსალური გამოწვევა“; ნინო საგინაშვილის „საზღვარგარეთ საკუთარ მოქალაქეთა დაცვის დოქტრინა“; მერაბ ტურავას „ნამეზა და ნამეზის მუქარა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად — სისხლის სამართლებრივი ნებადართული იძულების ღონისძიება? (ეროვნული და ევროპული მიდგომები მაგნუს გეფგენის საქმის მიხედვით)“; პაატა ტურავას „ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, როგორც პრივატიზაციის პროცესის ფარგლებში“; გიორგი ტულუშის „რელიგიური საკითხებთან დაკავშირებული გამოხატვის კრიმინალიზაცია“; ნინო ფარსადანიშვილის „ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ და ადამიანის უფლებების დაცვა“; ქეთევან ხუციშვილის „თანამედროვე



გამოწვევები იძულებით ადგილნაცვალთა და ლტოლვილთა დაცვის მექანიზმებისათვის: არსებობს თუ არა დაბრუნების უფლება“ და გიორგი ჯოხაძის „პერსონალური მონაცემთა დაცვა ადამიანის უფლებათა კონტექსტში: საქართველოს მაგალითი, გამოწვევები და ტენდენციები“.

თანამედროვე საქართველოში და, ზოგადად, მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვა აქტუალური საკითხია. შესაბამისად, აღნიშნულ თემაზე სამეცნიერო კვლევების ჩატარებასა და ნაშრომების გამოცემას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს როგორც სტუდენტებისთვის

დამატებითი ინფორმაციის მიწოდების მხრივ, ასევე, ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით ქვეყანაში ვითარების გაუმჯობესების თვალსაზრისით. სტატიათა კრებულს — „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო“ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა დადებითი შეფასება მისცეს.

„კონსტანტინე კორკელიამ ქართულ რეალობაში საფუძველი ჩაუყარა ნაშრომების კრებულების სახით სისტემატურ გამოცემას, ძირითადად, საერთაშორისო სამართლის მიმართულებით. დღეს უკვე იურიდიული ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალსაც აქვს მცდელობა, რომ მსგავსი სახით კრებულები სხვა დისციპლინებშიც გამოსცეს. მაგალითად, წელს საკორპორაციო სამართალში გამოვა სტატიათა კრებული, 2012 წელს კი საკონსტიტუციო სამართალში. მინდა გითხრათ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტატიათა კრებულში — „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო“ რამდენიმე ავტორის ნაშრომია შესული, ის ერთიანი ხელნერით იკითხება, მაღალ დონეზე შეგვიძლია შევავსოთ კვლევის სტილიც, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია“, — აღნიშნა

იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა.

სტატიათა კრებულის გამოცემის მიზანი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილების ქართული მკითხველისთვის გაზიარება გახლდათ. მასში შესული ნაშრომები იმ თემატიკას მოიცავს, რაც საქართველოში დღეს განსაკუთრებით აქტუალურია.

„სასიამოვნოა, რომ წინა კრებულებმა იურიდიულ საზოგადოებაში დადებითი შეფასება დაიმსახურა, რაც შესანიშნავი სტიმული იყო ამ კრებულის გამოცემისათვის. იმედა, რომ ეს კრებული ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც წინა გამოცემები და თავის წვლილს შეიტანს საქართველოში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების, ასევე, სხვა სახელმწიფოების გამოცდილების გაზიარებაში, რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის განმტკიცებას საქართველოში“, — აღნიშნა სტატიათა კრებულის რედაქტორმა კონსტანტინე კორკელიამ.

კრებულის — „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო“ პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 15 ნოემბერს გაიმართა.



„7 დღე ტიბეტში“ გიო მგელაძისთან ერთად



ნათო ოზოლაძე

ჰიმალაის მთების ჩრდილოეთით, ზღვის დონიდან 4 900 მეტრზე მდებარეობს ისტორიული რეგიონი ტიბეტი, რომელიც დედაამინაზე ყველაზე მაღალი დასახლებული ადგილია. მას „სამყაროს სახურავსაც“ უწოდებენ, თუმცა მსოფლიოში მზარდი ინტერესი ტიბეტის მიმართ მხოლოდ ამ მიზეზით არ არის გამოწვეული. ტიბეტი მისტიკური და იდუმალი ადგილია, სადაც რელიგია ყოველგვარ მატერიალურზე მაღლა დგას. ტიბეტელი ბუდისტები ლამების სანახავად, მათი მონასტრების დასათვალიერებლად და ტიბეტური კულტურის გასაცნობად ამ რეგიონს უამრავი ადამიანი სტუმრობს. იქმნება დოკუმენტური თუ მხატვრული ფილმები, მათ შორის, ერთერთი საუკეთესო და გამორჩეული კი ქართველი რეჟისორის გიო მგელაძის დოკუმენტური ფილმი — „7 დღე ტიბეტში“. ფილმი კარგად არის ასახული რეჟისორის განსხვავებული ხედვა. მასში გამოყენებულ კადრებსა და მუსიკას მაყურებელი 33 წუთის განმავლობაში ტიბეტის მისტიკურ სამყაროში გადაჰყავს და აცნობს მანამ-

დე მხოლოდ გაგონილი რეგიონის კულტურასა და გარემოს, არც კითხვებსა და ამბავებს ინტერესს. ფილმის გადაღება კი ასე დაიწყო: „ბავშვობიდან ტიბეტის შესახებ ზედაპირული ინფორმაცია გვქონდა. ერთხელ რეზიკო თაბუაშვილი ალპინისტებთან ერთად ტიბეტში იყო წასული და მისი მონაცემების მოსმენის შემდეგ მეც გადაწყვიტე, ეს ადგილი მომენახულებინა. ნეპალში ვიღებდით ფილმს მე და ოპერატორი გიორგი ბერიძე და აქედან გადავედით ტიბეტში. ნაღბული გვქონდა ბევრი კინო-ფირი, ასევე, ვიდუოკამერაც, თუმცა ფილმი მხოლოდ კინო-ფირზე გადაღებული მასალა შევიდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კადრები კომპოზიტორ გოგი ძიძუაშვილს მივუცე და ფილმისთვის მუსიკის დანერგა ვთხოვე. მინდა გითხრა, რომ მის მიერ შექმნილი მუსიკა ზუსტად შეეფერება ტიბეტურ გარემოს და, შესაბამისად, „7 დღე ტიბეტშიც“ ეფექტური გამოვიდა. ტიბეტი არის ადგილი, სადაც ნებისმიერ ადამიანს, ვინც იქ არის ნამყოფი, უკან მიბრუნების სურვილი ყოველთვის უჩნდება“, — ეს განცხადება რეჟისორმა და სცენარის ავტორმა თსუ-ის

„საკვირაო ლიტერატურულ კლუბში“ ფილმის ჩვენების დროს გააკეთა. გიო მგელაძე „ჯინსების თაობის“ წარმომადგენელია. იგი ერთერთია იმ ახალგაზრდებიდან, რომლებიც საბჭოთა კავშირის დახურული სივრცის გარღვევასა და დასავლურ სამყაროში შესვლას ცდილობდნენ. თუმცა, როგორც რეჟისორის საუბრი-

ბევრი ქვეყანა ვნახე. აზიის ქვეყნები მაინც განსხვავებულია. ჩემმა მეგობარმა, რეჟისორმა მიშა კობახიძემ დასავლეთ ევროპის ქვეყნების შესახებ ასეთი რამ მითხრა: დასავლეთელებმა გადაწყვიტეს, რომ კომფორტი შეექმნათ და ამისაკენ მიმართეს მთელი ენერჯია, თუმცა პირიქით გამოუვიდათ, თვითონ გახდნენ კომფორტის მსახურები, დაავიწყდათ ღმერთი. ამ მოსაზრებას სრულიად ვეთანხმები. ბუდისტურ სამყაროში კი ყველაფერი პირიქით არის — ყველა რელიგიურია. ოკუპაციის მიუხედავად, ტიბეტში ყველა ადამიანი, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, მუდმივად ლოცულობს“, — გვითხრა გიო მგელაძემ.



მეგონა, რომ ვხედავდი — თუ როგორ ქმნიდა ღმერთი 7 დღეში სამყაროს. განსაკუთრებით მომეწონა ფილმის დასასრული — მე-7 დღე“, — აღნიშნა „საკვირაო ლიტერატურული კლუბის“ წევრმა, ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრანტმა სალომე დავითულიანმა.

კუმენტური ფილმი მის შემოქმედებაში. როდესაც გადაწყვიტეთ გენახა ეს ფილმი, გაჩნდა იდეა, რომ მოგვეწვია გიო მგელაძე და მას გაეზიარებინა ჩვენთვის თავისი შთაბეჭდილებები, ხედავ, ფიქრი და ემოციები იმ სამყაროზე, რასაც ტიბეტი ჰქვია. ვფიქრობ, რომ ფილმის ჩვენებამ კარგად ჩაიარა. ჩემთვის ყველაზე მთავარია, რომ სტუდენტებს მოეწონათ ღმერთი. მათ ბევრი რაღაც გაიგეს ტიბეტის შესახებ. მისარია, რომ გიო მგელაძეც კმაყოფილი იყო ჩვენთან შეხვედრით“, — გვითხრა „საკვირაო ლიტერატურული კლუბის“ ხელმძღვანელმა დავით მაზიაშვილმა.

დოკუმენტური ფილმი „7 დღე ტიბეტში“ დიდი მონებით სარგებლობს როგორც რეჟისორებს, ასევე, მაყურებლებს შორისაც, თუმცა კითხვა, თუ რატომ უხდის მადლობას ყველა ტიბეტელი განგებას იმის გამო, „რომ ტიბეტში დაიბადა და ბუდისტია და რომ მზე ჰიმალაიდან ამოდის და ჰიმალაიში ჩადის“, მაინც პასუხგაუცემელი რჩება — თურმე ესეც ტიბეტის იდუმალების ნაწილია.



დან გაირკვა, მათი თაობის მიზანი მხოლოდ დასავლეთის გაცნობა არ ყოფილა. „ჩვენი თაობა დასავლეთისკენ კი არ მიისწრაფვოდა, უბრალოდ იმ ვაკუუმიდან გასვლა სურდა, რასაც საბჭოთა კავშირი ერქვა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ

მათი განცხადებით, ეს არის ფილმი, რომელიც ტიბეტის შესახებ დიდ ინფორმაციას გვანდის და, ამავე დროს, ბევრ კითხვასაც ბადებს. განსხვავებული ემოციები გამოიწვია გიო მგელაძის ფილმმა სტუდენტებში. „ფილმის ყურების დროს

„გიო მგელაძის შემოქმედებას ძალიან დიდ პატივს ვცემ. საინტერესო პიროვნებაა, როგორც შემოქმედი, და საინტერესო ხედავს აქვს, როგორც რეჟისორს, ფილმი „7 დღე ტიბეტში“ ძალიან მნიშვნელოვანი დო-



ქალ ფრენბურთელთა გუნდი

უნივერსიტეტის ქალ ფრენბურთელთა გუნდი წარმატებით ასპარეზობს საქართველოს უმაღლეს ჩემპიონატში, სადაც 2011-2012 წლების სეზონის პირველ ნახევარში მე-2 ადგილზე გავიდა და იბრძვის საქართველოს ჩემპიონობისათვის.

ფიხსურთი

მიმდინარე წელს თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა ჩამოაყალიბა საკმაოდ ძლიერი უნივერსიტეტის საფეხბურთო გუნდი, რომლის ბირთვი საქართველოს მინი ფეხბურთის ნაკრების წამყვანი მოთამაშეებით არის და-



კომპლექტებული, რაც საშუალებას გვაძლევს უნივერსიტეტის გუნდმა იბრძოდეს საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისათვის.

ალსანიშნავია სტუდენტური გუნდის წარმატებები მიმდინარე წელს. საქართველოს საუნივერსიტეტო ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ტურნირზე გუნდმა დუბლი შეასრულა, მოიგო რა, როგორც ჩემპიონატი, ასევე — თასი, ხოლო უნივერსიდაზე მე-2 ადგილს დასჯერდა.



მან-სან-კანი

მიმდინარე წელს უნივერსიტეტის „მან-სან-კანის“ გუნდი საქართველოს ჩემპიონატის 2011-2012 წლების ჩემპიონატში ჩაერთო და მან დიდი მონება დაიმსახურა მაყურებელთა მხრიდან. იგი ამჟამად მიმდინარე ჩემპიონატის ნახევარ ფი-

ნალში იმყოფება და იბრძვის ჩემპიონის ტიტულის ხელმეორედ მოპოვებისათვის.



თეატრალური დასი

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თეატრი „სხენი“, რომელიც დაკომპლექტებულია თსუ-ის სტუდენტებით. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს სტუდენტთა შორის და მისი სპექტაკლები ყოველთვის ანშლავით მიმდინარეობს.

მომავალ წელს უნივერსიტეტი უზრუნველყოფილი იქნება ახალი სააქტო დარბაზით, სადაც სტუდენტები შეძლებენ თავიანთი ნიჭის სრულად რეალიზებას. ამჟამად დასის ძირითადი ბირთვი უკვე ჩამოყალიბებულია, ისინი თავდაუზოგავად შრომობენ, რათა ღირსეულად წარდგენ უნივერსიტეტის სცენაზე.

მასალა მოგვანოდა თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია	რედაქციის წევრები:	მისამართი:
მთავარი სამცხალისტი	მაია ტორაძე	რისმაგ გორდენიანი, ნოდარ ბელქანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დინა ძიძიგური, ნანა ჭილაძე, თეა ჯულელი	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11*
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე		(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ფოტოკორექტორი	ლიკა პეტრიაშვილი		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი		